პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 თებერვლიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ხუთშაბათი 15 აპრილი № 87 (16517) ფასი 2 კაპ. 1976




ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური შაბათობისათვის მზად არიან თბილისის № 1 მექანიკურ ქარხანაში. საწარმოს კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ამ დღის ნორმა შეასრულოს 101 პროცენტით და მეათე ხუთწლედის ფონდში გადარიცხოს 1.317 მანეთი. სურათზე: შაბათობის შტაბში.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები 1976 წლის 1 მაისისათვის

1. გაუმარჯოს 1 მაისს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს!

2. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!

4. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის!

წინ, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ!

5. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აამაღლეთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდისათვის!

უფრო მაღლა ასწიეთ 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

6. კომუნისტებო! სათავეში ჩაუდექით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლას, იყავით მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

7. მარადიული დიდება გმირ საბჭოთა ხალხს — ქვეყნად პირველი კომუნისტური საზოგადოების მშენებელს!

8. გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს — კომუნიზმის მშენებლობის მთავარ ძალას!

9. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

10. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

11. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს! დაე მტკიცდებოდეს საბჭოთა საზოგადოების იდეურ-პოლიტიკური ერთიანობა!

12. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობას — სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად მონაპოვარს!

13. გაუმარჯოს ლენინურ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — მეცნიერული კომუნიზმის პარტიას, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს!

გაუმარჯოს პარტიისა და ხალხის დიად ურღვევ ერთიანობას!

14. გაუმარჯოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს — ნამდვილი სახალხო ხელისუფლების ორგანოებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალისტური დემოკრატია, ფართოვდებოდეს სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა მონაწილეობა!

15. საბჭოთა პროფკავშირებო! წარმართეთ სოციალისტური შეჯიბრება და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებისათვის მოძრაობა წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ყოველმხრივი ამაღლებისათვის! უფრო ფართოდ ჩააბით მშრომელები წარმოების მართვაში!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

16. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ბეჯითად დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევებს! ამრავლეთ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები! იყავით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში!

17. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

18. გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებს, შრომითი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებს! სახელი და დიდება დედას — ქალს, რომელიც თავისი გულის სითბოს ახმარს შვილების — კომუნიზმის მომავალი მშენებლების აღზრდას!

19. საბჭოთა მეომრებო! დაუცხრომლად სრულყავით საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, დაეუფლეთ თანამედროვე იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას, ფხიზლად და საიმედოდ დაიცავით საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა!

გაუმარჯოს სსრ კავშირის გმირ შეიარაღებულ ძალებს!

20. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ იბრძოლეთ სოციალისტური ეკონომიკის — სამშობლოს ძლიერებისა და ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების საფუძვლის შემდგომი აღმავლობისათვის!

21. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ, რომ განუხრელად იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება და წარმოების ეფექტიანობა, დიდდებოდეს უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვება!

22. სახელი და დიდება შრომითს კოლექტივებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, რომლებიც წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, 1976 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში არიან!

23. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ უმცირესი დანახარჯებით სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! ყოველნაირად განამტკიცეთ საგეგმო, ტექნოლოგიური და შრომის დისციპლინა! ყაირათიანად გამოიყენეთ წარმოების რეზერვები, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები!

24. მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის! დააჩქარეთ ტექნიკური პროგრესი, სწრაფად აითვისეთ და უკეთ გამოიყენეთ საწარმოო სიმძლავრეები!

ფართო გზა ახალ ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას!

25. მრეწველობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის. განაახლეთ მისი ასორტიმენტი, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებები!

26. მშენებლობის მუშაკებო! იბრძოლეთ კაპიტალური მშენებლობის დარგში სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის! დროულად აამოქმედეთ ახალი ობიექტები! აშენეთ სწრაფად, ხარისხიანად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე!

27. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებები! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებები!

28. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად განახორციელეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკა! გააძლიერეთ ბრძოლა ქვეყნის ეკონომიკის მაღალგანვითარებულ დარგად სოფლის მეურნეობის გადაქცევისათვის!

29. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის! უკეთ გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქები, მთელი მატერიალური რესურსები! აქტიურად განახორციელეთ წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის კურსი სამეურნეობათშორისო კოოპერირებისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე!

30. კოლმეურნეებო და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის გასადიდებლად! მიაღწიეთ იმას, რომ სანიმუშოდ მოეწყოს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოები, რომ 1976 წელს უხვი მოსავალი მოიწიოთ!

31. მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებო! განამტკიცეთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა! დააჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის, მისი კომპლექსური მექანიზაციის, ელექტროფიკაციისა და ქიმიზაციის, მიწების ფართო მელიორაციის ტემპი!

32. ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო სამსახურისა და კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! უფრო აქტიურად განავითარეთ და სრულყავით მომსახურების სფერო, დანერგეთ მუშაობის პროგრესული ფორმები და მეთოდები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების დიდი კულტურისათვის!

33. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! წმიდად დაიცავით და ამრავლეთ საზოგადოებრივი საკუთრება! დაზოგეთ ნედლეული, სათბობი, ელექტროენერგია, ლითონი და სხვა მასალები!

34. სახალხო მეურნეობის მუშაკებო! ბეჯითად დაეუფლეთ ეკონომიურ ცოდნას, მეურნეობის გაძღოლისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს. უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავეთა გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები!

35. ინჟინრებო და ტექნიკოსებო! რაციონალიზატორებო და გამომგონებლებო! აქტიურად განახორციელეთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ამოცანები! უსწრაფესად დანერგეთ წარმოებაში ახალი მეცნიერული ნამუშევრები, გამოგონებები და მოწინავეთა გამოცდილება!

36. საბჭოთა მეცნიერებო! მტკიცედ იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული მეცნიერული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის! აამაღლეთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა და ხარისხი, განამტკიცეთ წარმოებასთან მეცნიერების კავშირი, რაც შეიძლება სწრაფად დანერგეთ მეცნიერული მიღწევები სახალხო მეურნეობაში!

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში!

37. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღლა ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა! მოახმარეთ თქვენი ნიჭი და ოსტატობა ხალხის სამსახურს, კომუნიზმის საქმეს, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს ღირსი ნაწარმოებები!

38. სახალხო განათლების მუშაკებო! ყოველნაირად აამაღლეთ სწავლების ხარისხი, გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის კადრების მომზადება! აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის იდეალებისა და ზნეობრივი პრინციპების, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით!

39. ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

40. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! გადაეცით თქვენი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდობას, აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

41. პიონერებო და მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, კარგად ისწავლეთ, დაეუფლეთ შრომითს ჩვევებს! ემზადეთ, რომ გახდეთ ლენინის საქმისათვის, კომუნიზმისათვის აქტიური მებრძოლები!

42. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მებრძოლ მარქსისტულ-ლენინურ ავანგარდს, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მტკიცე მებრძოლებს!

43. გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

დაე მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე!

44. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — საერთაშორისო მუშათა კლასის დიადი ისტორიული მონაპოვარი, ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გადამწყვეტი ძალა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯი!

45. გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას!

დაე მტკიცდებოდეს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტურ პარტიათა ურყევი საბრძოლო კავშირი მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ნაცადი პრინციპების საფუძველზე!

46. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც მტკიცედ ადგას ეროვნული ერთიანობის, მშვიდობისა და სოციალიზმის გზას!

ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს, რომელიც ქვეყანაში ახორციელებს ძირფესვიან სახალხო-დემოკრატიულ გარდაქმნებს!

ძმური სალამი დემოკრატიული კამპუჩიის პატრიოტებსა და ყველა მშრომელს, რომლებიც მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ინდოჩინეთის ხალხების მეგობრობას!

47. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — ყველა მშრომელის უფლებებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლებს!

48. მხურვალე სალამი ხალხებს, რომლებმაც კოლონიური ბორკილები მოიშორეს, დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, თავიანთი ქვეყნების სოციალური, ეკონომიური და კულტურული განვითარების პროგრესული გზისათვის იბრძვიან!

49. ძმური სალამი ანგოლელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობას!

50. მხურვალე სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან!

მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა ნაშთის სრული ლიკვიდაციისათვის!

51. დაე მტკიცდებოდეს რევოლუციური ძალების — სოციალიზმის მსოფლიო სისტემის, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის, ხალხთა ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის მებრძოლთა მძლავრი კავშირი!

52. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლებს, რომლებიც საპატიმროებსა და ფაშისტურ დილეგებში იტანჯებიან!

ყველა ქვეყნის კომუნისტებო და მშრომელებო! უფრო აქტიურად ჩაებით ტერორისა და რეპრესიების შეწყვეტისათვის ბრძოლაში!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

53. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც მამაცურად იბრძვიან რეაქციულ-ფაშისტური ძალების წინააღმდეგ!

მსოფლიოს ხალხებო! განამტკიცეთ ჩილელ პატრიოტებთან სოლიდარობა!

თავისუფლება ლუის კორვალანს!

თავისუფლება ფაშისტური ხუნტის ყველა ტუსაღს!

54. მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისათვის სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად, ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის!

დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

55. ევროპის ქვეყნების ხალხებო! მტკიცედ იბრძოლეთ სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტის მთლიანად განხორციელებისათვის, ევროპაში მშვიდობიანი თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარებისათვის!

56. მხურვალე სალამი კვიპროსელ ხალხს, რომელიც თავგანწირვით იცავს თავის დამოუკიდებლობას იმპერიალისტური ხელყოფისაგან!

მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ უცხოეთის მთელი ჯარების გაყვანა კვიპროსის ტერიტორიიდან, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა!

57. მხურვალე სალამი პორტუგალიის მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც თავგანწირვით იბრძვიან რეაქციის ძალების წინააღმდეგ, თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის, ქვეყანაში დემოკრატიული წყობილების მტკიცე საფუძვლების შექმნისათვის, სოციალური პროგრესისათვის!

58. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ აზიაში მშვიდობის განმტკიცებისათვის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობისათვის, უშიშროების უზრუნველყოფისათვის კონტინენტის სახელმწიფოთა ერთობლივი ღონისძიებების საფუძველზე!

59. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ, რომ გაღრმავდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რომ მან ხორცი შეისხას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებით! ამხილეთ აგრესიის, რევანშიზმისა და რეაქციის ძალების — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მტრების ხრიკები!

60. მსოფლიოს ხალხებო! მიაღწიეთ იმას, რომ ძალის გამოუყენებლობა კანონი გახდეს საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო ატომური იარაღი სამუდამოდ აიკრძალოს! იბრძოლეთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, იარაღის დაგროვილი მარაგის შემცირებაზე, განიარაღებაზე გადასვლისათვის!

61. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

დაე მთლიანად განხორციელდეს სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა — მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამა!

62. დაე განმტკიცდეს და აყვავდეს ჩვენი დიადი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი!

63. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

## საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგების შესახებ

### მონაცემები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების ავტონომიური ოლქის და რაიონული, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით

კვირას, 1976 წლის 11 აპრილს, გაიმართა საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები.

არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობდა დიდი შრომითი და პოლიტიკური აქტივობის, სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ფართოდ გაშლილ მოძრაობის ვითარებაში.

ხმის მიცემა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა საღამოს 10 საათზე ადგილობრივი დროით.

არჩევნები ყველგან ჩატარდა ორგანიზებულად, სსრ კავშირის კონსტიტუციის, საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების სრული შესაბამისობით. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა 99,98 პროცენტმა, წინააღმდეგ — 0,02 პროცენტმა.

სახალხო მოსამართლეობის 168-ვე კანდიდატმა მიიღო ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების 61-ე მუხლის შესაბამისად არჩეულია სახალხო მოსამართლედ.

ახლად არჩეულ საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა შემადგენლობაში 36 ქალია, რაც არჩეულ მოსამართლეთა 21,4 პროცენტს შეადგენს. 159 სახალხო მოსამართლე, ანუ 94,6 პროცენტი, სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია. 67 სახალხო მოსამართლე, ანუ 39,9 პროცენტი, ადრე არ ყოფილა არჩეული სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო სოციალისტური დემოკრატიის გამარჯვება, რესპუბლიკის მშრომელთა მონოლითური ერთიანობა და შეკავშირება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

ეჭვი არ არის, რომ სახალხო სასამართლოების ახლად არჩეული სახალხო მოსამართლეები ყველაფერს გააკეთებენ სოციალისტური კანონიერების, საზოგადოებრივი წესრიგის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის, თავიანთ წვლილს შეიტანენ პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1976 წლის 14 აპრილს 66 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

**მიხეილ მიხეილის-ძე ლელაშვილი**

| | | |
|---|---|---|
| საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო |

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების შემდეგ

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში

# ასე ვიწყებთ ლაშქრობას უხვი ქართული ჩაისათვის!




[illegible]

## მეურნეობა და ფაბრიკა განუყოფელია

□ ხარისხისათვის ბრძოლა პლანტაციაში იწყება და ფაბრიკაში მთავრდება □ ვიღებთ ქუთაისის ხონის ოკაირის კოლმეურნეობის და ჩაის ფაბრიკის თაოსნობას.

[illegible]

ჩვენი მუშაობის პრინციპია — ერთმანეთს მაქსიმალურად დავეხმაროთ, ერთობლივად ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, გადაჭარბებით შევასრულოთ სახელმწიფო გეგმები. ასეთმა დამოკიდებულებამ ორივე კოლექტივს მნიშვნელოვანი მოგება მისცა. მაგალითად, შარშან ჩაის ფაბრიკამ სახელმწიფო გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, რეალიზაციისა 113,7 პროცენტით. მთლიან პროდუქციაში პირველი და უმაღლესი ხარისხის ხვედრითი წილი 70,3 პროცენტი იყო. ჩვენი პროდუქციის მაღალ ხარისხზე ისიც მეტყველებს, რომ შარშან არ გვქონია რეკლამაცია, ხოლო პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი საექსპორტოდ გაიგზავნა. ასეთივე მაღალი მაჩვენებლებით დავამთავრეთ მეცხრე ხუთწლედი. განვლილი ხუთწლედის გეგმა შევასრულეთ 108 პროცენტით.

მეათე ხუთწლედი ხარისხის ხუთწლედია. საქმე მარტო სამრეწველო პროდუქციას კი არ ეხება, არამედ სოფლის მეურნეობის პროდუქციასაც. ქუთაისის თათბირზე კარგად ითქვა — ჩაის ხარისხი იწყება პლანტაციაში და მთავრდება ფაბრიკაშიო. ეს სწორია! კომპლექსური, ჯაჭვური ხასიათის ღონისძიებების გარეშე ვერ მივიღებთ მაღალხარისხოვან პროდუქციას. ეს კი აუცილებელია! ქართული ჩაის ღირსება, ჩვენი ორგანიზაციების ეკონომიური ინტერესები მოითხოვს მივაღწიოთ და კიდევაც უნდა მივაღწიოთ უმაღლესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებას. მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღება თვითეულ ჩვენგანზე, მთელს კოლექტივზეა დამოკიდებული. ამისათვის საჭიროა აგროვადებში ყველა სამუშაოების ჩატარება, დროულად და აგროწესებით კრეფა, ნორმალურად ტრანსპორტირება, ტექნოლოგიური პროცესების დაცვა.

წარსულის გამოცდილება გვასწავლის, რომ დავუფიქრდეთ და აღარ გავიმეოროთ შეცდომები. კრეფა დროულად და ხარისხიანად დავიწყოთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პირველი ვეგეტაციის დროს ბუჩქებზე ოცდახუთი პროცენტი ნაზი დუყი როგორც კი გამოვა, დავიწყოთ შერჩევითი კრეფა. ზოგიერთი მკრეფავი ნაზ ფოთოლს ბუჩქზე სრულებით არ ტოვებს. ეს ასუსტებს მცენარეს, არ რჩება განვითარების პირობები. სრული ვეგეტაციის დროს კი რაოდენობით გატაცებული ზოგიერთი მკრეფავი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ხარისხს, ეს იწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას.

ახლა საბჭოთა მეურნეობისა და ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ერთობლივი ძალებით შევქმენით კომისია, რომელშიც შევიყვანეთ აგროსპეციალისტები. ისინი როგორც პლანტაციებში, ისე ჩაის ფაბრიკაში ერთობლივად ჰოახდენენ პროდუქციის შემოწმებას. პიკის დღეებში ზედმეტად რომ არ გადაიტვირთოს ფაბრიკა, მთავარ მიმღებ პუნქტებში, რომ არ შეიქმნას რიგები და არ გადახურდეს ნედლეული, დაწესდება ჩაბარების ზუსტი გრაფიკი, რაც გამორიცხავს ყოველგვარ გაუგებრობას და ნედლეულს დაიცავს გაფუჭებისაგან. ასეთ შემთხვევაში ტრანსპორტი უფრო მოქნილად იმუშავებს და ფაბრიკაც არ გადაიტვირთება.

შრომითს წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მატერიალური წახალისება. პრემიებს იმათ ვაძლევთ, რომლებიც რაოდენობასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ხარისხს მიაქცევენ. მარტო ის რა ბევრის მთქმელია, რომ შარშან ლ. კუჭუხიძემ, შ. გორდულავამ, ქ. თავდგირიძემ და მრავალმა სხვამ ჩაის ფოთლის კრეფის პერიოდში პრემიასთან ერთად თვითეულმა გამოიმუშავა სამიათას მანეთამდე. ხარისხის დაცვა უშუალოდ მკრეფავზეა დამოკიდებული.

[illegible]

ათასი მანეთის პროდუქცია, შიდასამეურნეო საქმიანობასთან ერთად მუშახელით სეზონზე საჭირო დახმარებას გავუწევთ ჩაის ფაბრიკას. ამას მოითხოვს საერთო ინტერესები, საერთო საქმე.

გასული ხუთწლედის მიღწევებით არც ჩაქვის პირველი ფაბრიკა დაკმაყოფილდა. კოლექტივი ეძებს და აგნებს ახალ რეზერვებს. პროდუქციის ხარისხს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჩაის ნახევარფაბრიკატის დამხარისხებელი კომბინატის მოდერნიზაცია, რაც შ. ხაზარაძემ და მ. გვიმელიძემ მოიფიქრეს და დაამონტაჟეს. ახალი დამხარისხებელი აგრეგატი წელს დაიდგა ქობულეთის გაერთიანების ყველა ჩაის ფაბრიკაში. პროდუქციის ხარისხზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება, ნედლეულის მიწოდების რეგულირება და ფოთლის კრეფის ხარისხის გაუმჯობესების ის გარანტიები, რაც მეჩაიეებმა იკისრეს. ფაბრიკის კოლექტივმა თავის მხრივ იკისრა გეგმის გადამეტებით გადაამუშაოს ორასი ტონა ნედლეული, დაზოგოს 8 ათასი მანეთის საწვავი და ელექტროენერგია, ზეგეგმური მოგება გაზარდოს 120 ათასი მანეთით.

პარტიამ ნათელი გზა დაგვისახა. ახლა სიტყვა და საქმე ჩვენზეა. ჩვენი მეჩაიეების, ჩვენი მრეწველობის მუშაკების სახელით პირობას ვიძლევით, რომ ჩვენს წინაშე მდგარ სამეურნეო და პოლიტიკური ხასიათის ამოცანებს წარმატებით განვახორციელებთ.

**ა. ბეჟანიძე — ქობულეთის რაიონის ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ე. ცეცხლაძე — ჩაქვის № 1 ჩაის ფაბრიკის დირექტორი, ვ. პაპლიდი — კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ თავმჯდომარე, ლ. ლაზიშვილი — ჩაის ფაბრიკების გაერთიანების გენერალური დირექტორი, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი.**

საქართველოს მეჩაიეებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. ამ კულტურის მოვლა-მოყვანაში კომპლექსური მექანიზაციის, ქართველ სელექციონერთა მიერ გამოყვანილი ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვამ, ენერგიულმა შრომამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა კარგი შედეგები. მეჩაიეობის მთელი ისტორიის მანძილზე შარშან რეკორდული მოსავალი — 334 ათასი ტონა მოიკრიფა.

მაგრამ რეზერვები მთლიანად არ არის გამოყენებული. სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებმა, ქალაქ ქუთაისში გამართულმა მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა შეკრებამ ახალი პერსპექტივები დაუსახა მეჩაიეებს, დარაზმა ისინი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებაში უფრო დიდი მაჩვენებლების მიღწევისათვის, ნედლეულისა და თვით ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენმა მეჩაიეებმა ერთხმად გადაწყვიტეს მეათე ხუთწლედის პირველ წელიწადს სამშობლოს მისცენ 335.000 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. ამ გვერდზე დაბეჭდილი მასალები მოგვითხრობენ იმის შესახებ, თუ მოწინავეები როგორ აღწევენ წარმატებას შრომაში. მახარაძის, ქობულეთის, გალისა და გეგეჭკორის რაიონების მოწინავე მეურნეობათა, ჩაის მრეწველობის მუშაკთა, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო დარგის მუშაკთა გამოცდილება დიდ დახმარებას გაუწევს საქართველოს მეჩაიეებს სიუხვისათვის ბრძოლაში.

## კომუნისტი
## ჩვენი ფიქრები, გეგმები, გამოცდილება

ჩვენს მეურნეობას 1930 წელს ჩაეყარა საფუძველი, ჩაის ფოთლის პირველი მოსავალი კი 1936 წელს მივიღეთ. ერთი წლის შემდეგ, 1937 წელს ახალგაზრდა კოლექტივი ჩაის კრეფის საქმეში მოპოვებული წარმატებისათვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიპლომით დაჯილდოვდა. და ასე გრძელდება წლების მანძილზე. მას შემდეგ დამსახურებულად ფასდება ჩვენი მეჩაიეების გამრჯე მარჯვენის მადლი და ბარაქა.

გასული, მეცხრე ხუთწლედი ჩვენი მეურნეობა-ტექნიკუმის წინსვლისა და ახალი შრომითი წარმატებების მომტანი იყო. ჩვენ ვადამდე, ოთხ წელიწადში ვუპატაკეთ სამშობლოს ხუთწლედის დავალებათა შესრულება, და გეგმით გათვალისწინებული 23.251 ტონის ნაცვლად 26.140 ტონა „მწვანე ოქრო“ მოვკრიფეთ.

ლაითური ერთ-ერთი იმ კოლექტივთაგანია, რომლის პლანტაციებში დაიწყო, ჩაისახა და პირველი განხორციელება ჰპოვა ჩაის მოვლა-მოყვანის დარგში დღეს არსებულმა მთელმა კომპლექსურმა მექანიზაციამ. დღეს ლაითურის მრავალდარგიან მეურნეობაში, ტექნიკის გამოყენებით ყოველწლიურად მრავალი სახის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო სრულდება, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი და ძირითადი ჩაის ხარისხიანი ფოთლის მექანიზებული კრეფაა.

პლანტაციებში გონიერი მანქანების გამოჩენამ სტიმული შეგვმატა, ახალი შრომითი ზღუდეების დასაპყრობად მოგვიწოდა. უკვე აღარ გვაშინებს ჰექტართა სიმრავლე, „საქართველო“ და „ჩა-900“ გამოცდილი მეჩაიეებივით არჩევენ დუყებს და ხარისხიც წლითი-წლობით უმჯობესდება.

## მანქანა და ადამიანი

□ სრულვყოთ ჩაის ფოთლის საკრეფი მანქანები □ მანქანები მეჩაიეთა დამხმარეა □ მანქანით მოკრეფილი ფოთლის ხარისხის ასამაღლებლად.

ამჟამად ჩვენს განკარგულებაშია საკმაოდ მგრძნობიარე, ჭკვიანი მანქანები. მეურნეობის პლანტაციებში ყოველ სეზონზე მუშაობს 56 „საქართველო“ და „ჩა-900“. ამ მანქანებით მარტო შარშან ნაცვლად 1.700 ტონისა 1.816 ტონა „მწვანე ოქრო“ მოიკრიფა.

ყოველ სეზონზე ჩაის შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია სულ ცოტა 517 მუშახელს სცვლის, ხოლო ერთი მექანიზატორი ჩაის ფოთლის კრეფის ცხარე დღეებში 20 მუშის სამუშაოს ასრულებს. როგორც ჩანს ჩაის მექანიზაცია, ეს დიდი მომავლის საშვილიშვილო საქმეა და ჩვენი მეურნეობის ყველა სპეციალისტი და მექანიზატორი იმის ცდაში არიან, რომ უფრო სრულყოფილი იყოს ეს მანქანები. ამიტომ ჩვენ ახლო კავშირი გვაქვს ამ მანქანების ავტორებთან.

ცალკე აღნიშვნის ღირსია საკმაოდ მნიშვნელოვანი, მაგრამ მეურნეობისათვის ახალი დარგი „მცირე მექანიზაცია“. გასულ წელს მეურნეობამ დაგვიანებით მიიღო შიდაწვის ძრავიანი 50 ხელით საკრეფი აპარატი, მაგრამ გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ, რაზეც ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ მექანიზატორმა ი. ქაჯაიამ გასულ სეზონში 6 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა. ასეთივე წარმატებებს მიაღწიეს ა. ბარსელიანმა, ს. მამუკიძემ, შ. ხოზრევანიძემ და სხვებმა.

სიტყვის ხალხია ლაითურელები. გასულ სამეურნეო წელს ნაკისრი გვქონდა 5.120 ტონა ჩაის ხარისხოვანი ნედლეულის დამზადება. ეს დავალება 108,5 პროცენტით შესრულდა, ვალდებულების გადამეტებით 435 ტონა ნედლეული ვაწარმოეთ.

მიღწეული ზღვარი არასოდეს არ ყოფილა ლაითურელთ მშრომელებისათვის. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ახალი ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედია. ჩვენი მშრომელები აქედანვე უყრიან მტკიცე საფუძველს მიმდინარე წლის უხვ მოსავალს.

მეურნეობამ აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრა ჩაის ბუჩქების სხვლა, მინერალური და ორგანული სასუქების შეტანა, რიგთაშორისების მსუბუქი შებარვა, სადრენაჟო არხების რემონტი.

ჩვენი მშრომელები გულდასმით გაეცნენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების მასალებს, კარგად აწონდაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და გადაწყვიტეს, ხუთწლედის პირველ სამეურნეო წელს მოკრიფონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ 5.555 ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, გეგმა-ვალდებულება კი 5.000 ტონას ითვალისწინებს. აქედან მექანიზებული წესით 1.850 ტონა უნდა მოიკრიფოს, ხოლო ხელით საკრეფი აპარატებით — 1.250 ტონა. ამასთანავე ხარისხობრივ მაჩვენებელს გასულ წელთან შედარებით სულ ცოტა 4 პროცენტით გავზრდით.

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებული გვაქვს მოვკრიფოთ 28.000 ტონა „მწვანე ოქრო“ და მტკიცედ გვჯერა, რომ სასახელო შრომითი ტრადიციების მქონე ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის კოლექტივი სანაქებოდ შეასრულებს ახალი ხუთწლედის დავალებებს.

მეურნეობის საერთო წარმატებებს მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ისეთი სიახლის დანერგვამ, როგორიცაა მექანიზებულად ნაკრეფი ფოთლის ფაბრიკაში ტარის გარეშე გადაზიდვა. ეს პროცესი ასე სრულდება: მანქანის მიერ მოკრეფილი ნედლეული ტრანსპორტიორების საშუალებით სპეციალურად გამოყოფილ თვითმცლელ მანქანებზე იტვირთება და ფაბრიკაში უმტვირთაოდ იცლება. ასეთი წესით გადაზიდული ერთი ტონა ჩაის ფოთლის ტრანსპორტირება ჩვეულებრივთან შედარებით 7 მანეთი და 09 კაპიკით იაფი ჯდება. გასულ სეზონზე ტარის გარეშე 1.889 ტონა ფოთოლი გადავიტანეთ, რითაც მეურნეობამ 13.390 მანეთი მოიგო. ეს სიახლე ვფიქრობთ, სხვასაც გამოადგება.

ამ დღეებში ქალაქ ქუთაისში გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე მთელი რიგი საყურადღებო საკითხები დააყენეს სამამულო ჩაის არამარტო რაოდენობრივი, არამედ მისი ხარისხობრივი მაჩვენებლების რაც შეიძლება გადიდებისათვის.

მეტი მაღალხარისხოვანი სამამულო ჩაის წარმოებისათვის ბრძოლაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ ზუგდიდის რაიონის ინგირისა და ჩვენი რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებს.

**ქ. გოგიბერიძე,**
**მახარაძის რაიონის ლაითურის ს. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის დირექტორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.**

## მწვანე ოქროს ხელმადლიანი ოსტატები



ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე მეჩაიე ქალთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. შანავა (წალენჯიხა), ე. ცირამუა (ჩხოროწყუ), რ. ჭოლოკუა (ოჩამჩირე), თ. ოსეფაიშვილი (ჩოხატაური), აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ჭანიძე (ხელვაჩაური), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები: სოციალისტური შრომის გმირი ლ. ჩხაიძე (ლანჩხუთი), ე. ღურწკაია (ხობი), სოციალისტური შრომის გმირი ა. ვოუბა (ოჩამჩირე), საქართველოს მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილენი.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

## მდიდარი ჰექტარები

□ საჰექტარო მოსავლის გადიდება დიდი რეზერვია □ აგროწესების დაცვა, სიმეჩხრის წინააღმდეგ ბრძოლა, ნიადაგის სანიმუშოდ დამუშავება, სასუქების დროულად შეტანა — აი ჩვენი რეზერვები!

პარტიის ეკონომიური პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე წარმოების, მეურნეობის გაძღოლის ინტენსიური მეთოდების ყოველმხრივი გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის ეფექტიანობა, კერძოდ, მეჩაიეობის ეფექტიანობა მოსავლის რაც შეიძლება გადიდების გზით უნდა ხდებოდეს. ყოველ ჰექტარზე ჩაის ფოთლის მოსავლის განუხრელი ზრდა ჩვენს კოლმეურნეობაში დიდი ხანია იქცა აუცილებელ, სასიცოცხლო ფაქტორად. მივმართოთ ციფრებს: 1972 წელს ჩაის ფოთლის საშუალო მოსავალი ჰექტარზე 6.902 კილოგრამი იყო, 1973 წელს ივი 8.226 კილოგრამამდე ავიყვანეთ. შარშანწინ, როცა მწყობრში ჩადგა 6 ჰექტარი ახალი, მცირემოსავლიანი პლანტაცია და ფართობის უქონლობის გამო ამოიწურა ახლის გაშენების საშუალება, საჰექტარო მაჩვენებელი — 7.700 კილოგრამი იყო. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს შრომის უკეთესი ორგანიზაციის შედეგად ცალ-ცალკე ყველა წელზე მეტი — 522 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოვკრიფეთ, ანუ საშუალოდ ერთ ჰექტარზე — 8.285 კილოგრამი.

ჩვენს კოლმეურნეობაში ბეჯითი ადამიანები შრომობენ. მარტო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ლუდიკო ბართიას მაგალითი რად ღირს! ამ თავდადებულმა ქალმა, რომლის ოჯახი სანიმუშოა მთელს სოფელში, შარშან მოსავლელად მიჩენილ 0.78 ჰექტარიდან მოკრიფა 19.654 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, გეგმით კი 8.000 კილოგრამი უნდა მოეკრიფა. დიდია მაგალითის ძალა. მათი გამოცდილების გადაღების მეოხებით დიდძალი ჩაის ფოთოლი მისცეს სამშობლოს ჩაის მოყვანის ნამდვილმა ოსტატებმა თალიკო წულაიამ, ძაბა ჯანჯღავამ, ლამარა ჯამბურიამ, მზია ბაღიშვილმა, ლილი პაპავამ და სხვებმა. მაინც რამდენია ეს „დიდძალი“ ჩაი? თამამად ვამბობთ — თვითეულმა 8-11 ტონამდე ჩაის ფოთოლი მოკრიფა.

როგორც ვხედავთ, კარგი შედეგია მიღებული. მაგრამ ბუნებრივად იბადება კითხვა — რა ღონისძიებებმა განაპირობეს ასეთი შედეგები ჩაის ფოთლის მოსავლის ზრდაში? ამაზე პასუხი ერთია — მოსავლიანობა გაიზარდა თავდადებული შრომითა და აგროტექნიკის განუხრელად, ოპტიმალურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარებით. თქმა იოლია, მაგრამ შესრულება დიდ, ენერგიულ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვს. ჩვენ არც შრომა დაგვიკლია და გამოცდილება კი ჩვენი მეზობელი რაიონებიდან გადავიღეთ.

გაჭედილში, ჩვენს კოლმეურნეობაში რელიეფი არ იძლევა მექანიზაციის გამოყენების საშუალებას, რის გამო ყველა სამუშაო ხელით სრულდება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდ ყურადღებას ვაქცევთ ჩაის პლანტაციების დამუშავებას. როგორც კი კრეფის სეზონი დამთავრდება ვიწყებთ პლანტაციების საშემოდგომო-ზამთრის სამუშაოებს — გადაბარვას 10-12 სანტიმეტრის სიღრმეზე ორგანული და ფოსფორიანი სასუქების შეტანით. გადაბარვის დროს ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ მცენარეს ფესვები არ დაუზიანდეს. ყველა ბელტსა და გოროხს ვაფხვიერებთ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სარეველების მოსასპობად. ამის საუკეთესო საშუალებაა ზამთარში გამობარვა და ბილახების ამოძირკვა, როგორც რიგთაშორის, ისე ჩაის ბუჩქების ძირებიდან. ჩაის პლანტაციებში გვხვდება მაყვალი, ეკალა და სხვა სარეველა ბუჩქნარები. ისინი უმთავრესად იქ ჩნდებიან, სადაც ნიადაგის პირველადი დამუშავება ცუდად იყო ჩატარებული. ეს ყველა მეჩაიემ კარგად იცის და ცდილობს თავიდანვე ამოძირკვოს ეს სარეველები.

ახალგაზრდა პლანტაციების გაშენების პირველსავე წელს ვაწარმოებთ ნიადაგის საგულდაგულოდ დამუშავებას. გამარგვლა და თოხნა ზაფხულის განმავლობაში 3-4-ჯერ მიმდინარეობს, რათა სარეველები მოისპოს ადრეულ სტადიაშივე. მოსავლიანობის გადიდების დიდი რეზერვი სიმეჩხრის წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლაა. ჩვენ გამეჩხერებულ ადგილებს შემოდგომითვე შევავსებთ ხოლმე. ამიტომაც ჩვენთან სიმეჩხრე მინიმუმამდეა დაყვანილი.

კოლმეურნეობის მეჩაიეები კარგად არიან დაუფლებული ბუჩქების გასხვლის აგროწესებს. სხვლის მაღალ დონეზე შესრულება ჩაის მოსავლის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. შპალერულად გასხვლისას ბუჩქები იღებენ ნახევრად ოვალურ ფორმას, გასხლული ზედაპირი სწორია, ხოლო ყლორტების ჭრილი გლუვი.

როგორც ვიცით, ჩაის პლანტაციისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სასუქებს. მათ შორის ყველაზე მაღალი ღირსებისაა ორგანული სასუქი, რომელიც მცენარისათვის საჭირო ყველა საკვებ ნივთიერებას შეიცავს. ორგანული ნივთიერებებით ნიადაგის განოყიერება უკეთესია ჩაის მცენარეების განვითარების პირველსავე წელს. რაც ჩვენთან მტკიცედ ხორციელდება. შემდეგ ამას ვაკეთებთ 4 წელიწადში ერთხელ. სრული დოზებით ვაწვდით ნიადაგს ფოსფორიან და კალიუმიან სასუქებს. აზოტიანი სასუქებიდან უპირატესობას ვაძლევთ სულფატამონიუმს, რომელიც აზოტს ამონიუმის სახით შეიცავს და ჩარეცხვის შემთხვევაში ნაკლებად იკარგება. ვიყენებთ ამონიუმის გვარჯილასაც.

მოკლედ რომ ვთქვათ, მეჩაიეები ისე ამუშავებენ მიჩენილ ნაკვეთებს, როგორც კარგი მებოსტნე ამუშავებს ხოლმე საბოსტნედ გამოყოფილ ფართობს. არც ერთი სარეველა პლანტაციაში. იგი მუდამ ფხვიერი უნდა იყოს — ასე ვშრომობთ ჩვენ.

ჩვენს მიერ მოტანილი ციფრები იმაზეც ნათლად მეტყველებენ, რომ კოლმეურნეობა „ავანგარდის“ მეჩაიეები არცერთი საათითაც არ არღვევენ ჩაის ფოთლის კრეფის დადგენილ წესს. შემოსული ფოთოლი იკრიფება სისტემატურად, წვიმიან დღეებშიაც, რადგანაც ასეთი დღეების მოცდენა შემდგომში არ ანაზღაურდება. თვითეულ ბრიგადაში მოწყობილი გვაქვს 7-8 თავშესაფარი ფარდული. შარშანწინ 50 მეჩაიეს უფასოდ მივეცით სპეცტანისამოსი — საწვიმარი, შარშან კი — 70 მეჩაიეს. განზრახული გვაქვს წელსაც ბევრს მივცეთ საწვიმარი ტანისამოსი. გარდა ამისა, უბნებში მოვაწყვეთ სასურსათო ფარდულები, სასადილოები.

...შრომა ადამიანის მთელი სიცოცხლის პირველი ძირითადი პირობაა. იგი ჰაერივით საჭიროა მისთვის, მით უმეტეს სოფლელი კაცისათვის, რომელიც მეურნის თვალით უყურებს ყოველ საქმეს და კარგისა და ცუდის გამორჩევაში არავის არ ჩამოუვარდება. შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების გარდა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ ანაზღაურებასაც — თუ კი დამკვრელურ შრომას დიდ პატივს ვცემთ, ანაზღაურებაც შესაფერისი, სტიმულის მიმცემი უნდა იყოს. შარშან მეჩაიეებს პრემიის სახით 44.905 მანეთი მივეცით. ყოველთვიურად ჯამდება მეჩაიეთა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და ხდება მათი მატერიალური და მორალური წახალისება. მსუბუქი ავტომანქანები გავუნაწილეთ მეჩაიეებს ლ. ბართიას, მ. და თ. წულაიებს, ძ. ჯანჯღავას, ლ. ჯამბურიას, ბრიგადირ ერ. წულაიას, დასასვენებელი საგზურები ჰქონდათ კოლმეურნეებს ი. რუხაიას, მ. ჭოჭუას, შ. წულაიას, ზ. აპლაკოვს და სხვებს. კოლმეურნეობის გამგეობა და პარტიული ორგანიზაცია არაფერს არ იშურებენ შრომის ადამიანისათვის.

მიღწეული ზღვარი როდია, ჩვენ ეს არ გვაკმაყოფილებს, რადგანაც არის რელიეფური რეზერვი — ჩაის ფოთლის საჰექტარო მოსავლის გადიდება. ამას ადასტურებს კოლმეურნეობის ცნობილ მეჩაიეთა პრაქტიკული საქმიანობა. ისინი არა ერთი ჰექტარიდან, არამედ გაცილებით ნაკლებიდან 10-12 ტონა ჩაის ფოთოლს იღებენ, ხოლო გრ. წულაიას ბრიგადამ 10,2 ტონა ჩაი მოკრიფა. მაშასადამე, ჩვენი ამოცანაა მოწინავეებს გავუთანასწოროთ თვითეული მეჩაიეს საქმიანობა, ისე უნდა მოვაწყოთ მთელი მუშაობა, რომ მეათე ხუთწლედის მეორე-მესამე წელს საშუალო საჰექტარო მაჩვენებელი 10.000 კილოგრამამდე ავიდეს. ეს სავსებით რეალური და დროული პრობლემაა.

როგორც ქალაქი, სოფელიც შეუდგა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლას. მეჩაიეები, რომლებსაც ახალი ძალები შემატა ქუთაისში მეჩაიეთა რესპუბლიკურმა შეკრებამ და იქ დასახულმა პრაქტიკულმა ღონისძიებებმა, მალე გავლენ პლანტაციებში „მწვანე ოქროს“ საკრეფად. ეს იქნება ლაშქრობა დიდი ჩაისათვის. გაჭედილელები მეათე ხუთწლედის პირველ წელს 530 ტონა ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მოიყვანენ. მკვეთრად გაზრდიან საჰექტარო მაჩვენებელს. ამის გარანტიაა პლანტაციების კარგი მდგომარეობა.

**ვ. წულაია.**
**გეგეჭკორის რაიონის სოფელ გაჭედილის კოლმეურნეობა „ავანგარდის“ თავმჯდომარე, ლენინის ორდენოსანი.**

## როცა მეჩაიე კმაყოფილია

□ კარგი გუნება-განწყობა მეჩაიეს ახალისებს □ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები მეჩაიეთა დამხმარენი □ საყოფაცხოვრებო მომსახურება მეჩაიის მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს.

გალის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წლეულს უნდა აწარმოონ 30.765 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 9.377 ტონა სიმინდის მარცვალი, 4.540 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ამჟამად რაიონში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. განსაკუთრებით დიდი შრომითი შემართება იგრძნობა ჩაის პლანტაციებში. სოფლის მშრომელთა მთელი ძალები, ტექნიკა მაქსიმალურად არის გამოყენებული, რათა მომზადებული შეხვდნენ ჩაის კრეფის სეზონს.

სოფლის მშრომელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებას ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკებმა.

რაიონის მშრომელთა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება მინდობილი აქვს რაიონის სამ სამომხმარებლო საზოგადოებას და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რაიონულ სამმართველოს. მარტო გალის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოება ემსახურება 14 საბჭოთა მეურნეობას, 6 კოლმეურნეობას და 3 ჩაის ფაბრიკას. შარშან ამ ზონის მეჩაიეებისათვის აქ მუშაობდა 14 სასადილო და 4 საველე ბუფეტი. ამ ობიექტების მუშაკთა მომსახურებით მეჩაიეები კმაყოფილი იყვნენ.

სამომხმარებლო საზოგადოების კოლექტივი წლეულს სერიოზულ ყურადღებას მიაქცევს უშუალოდ პლანტაციებში ცხელი კერძებით მეჩაიეების უზრუნველყოფას. ხუმუშქურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ორ ავროგანყოფილებაში მეჩაიეებს მუშაობის დროს მივაწვდით ცხელ კერძებს უშუალოდ პლანტაციებში. საველე ბუფეტები გაიხსნება ჩაის კრეფის სეზონის დაწყებიდანვე ზემო ბარღებისა და ქვემო ბარღების ჩაის საბჭოთა მეურნეობებში, სოფლებში — ნაბაკევში, თაგილონსა და დიხაზურგაში.

ამჟამად გალის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების კვების ობიექტებში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მუშათა მომსახურების უზრუნველსაყოფად მომავალი სეზონისათვის, სამწუხაროდ, ცუდად ემზადებიან ნაბაკევის ჩაის ფაბრიკაში (დირექტორი ვ. ჯგუბურია). აქ დღემდე არ დაუწყიათ სასადილოს ახალი შენობის მშენებლობა, ხოლო ძველი შენობა დაარღვიეს.

საკმაოდ მრავალრიცხოვანია აჩიგვარის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების მომსახურების სფეროს ობიექტები. ამ ზონაში ყველა სასადილო, მაღაზია და სხვა სავაჭრო ობიექტი შეკეთებულია, შევსო საჭირო ინვენტარით. ჩაის კრეფის სეზონის დაწყებისას გაიხსნება 5 ახალი საველე ბუფეტი აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმსა და გალის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. გაიხსნა მუშათა ახალი სასადილო წარჩის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში. კვების პროდუქტებით დატარებითი ვაჭრობა დაინერგება უშუალოდ ჩაის პლანტაციებში.

სოფლის მშრომელთა მომსახურებაში სათანადო წვლილს შეიტანენ გალის საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოების მუშაკებიც. ისინი სეზონის პერიოდში სოფლად მოაწყობენ სასურსათო და სამრეწველო საქონლით დატარებითს ვაჭრობას.

რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს სოფლის მშრომელთა და, განსაკუთრებით, მეჩაიეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. ამ მიზნით შემუშავებულია ღონისძიებათა სპეციალური კომპლექსი.

გადაწყვეტილია ჩაის კრეფის სეზონში უშუალოდ პლანტაციებში მოეწყოს ფეხსაცმელების შეკეთება, ახალი მოდის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ინდივიდუალური დაკვეთების მიღება.

სამმართველოს ოსტატები მეჩაიეებს ადგილზე მიაწვდიან სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელს ასარჩევად და ადგილზევე მიიღებენ შესაკერად შეკვეთებს. განზრახულია მეჩაიეთა სპეციალური ტანსაცმლით უკეთ მომარაგების მიზნით ადგილებზე მოეწყოს შეკვეთა და შეკერვა. მეჩაიეთა ოჯახებში მოაწყობენ ავეჯეულისა და სხვა საოჯახო ნივთების შეკეთებას. მომავალი სეზონისათვის მწყობრში ჩადგება ახალი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები — სიდაში, კოხორასა და რეფში.

თუ წინა წლებში რაიონის ზოგიერთი სოფელი მოკლებული იყო საყოფაცხოვრებო მომსახურებას (მუხური, რეჩხო-ცხირი, ლეკუხონა), წლეულს ეს მდგომარეობა გამოსწორდება. რაიონის ყველა სოფელში ამათუიმ სახეობაში მაინც იქნება საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

სოფლის მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის საჭიროა შესაბამისმა უწყებებმა და სამინისტროებმა მეტი იზრუნონ ავტოტრანსპორტით, საოჯახო მაცივრებისა და სხვა ინვენტარის შესაკეთებლად სათადარიგო ნაწილებით უზრუნველსაყოფად.

**ა. შონია — გალის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე; ტ. ანდრიაავა — გალის საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარე; ნ. შონია — აჩიგვარის სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე; გ. ძანძავა — გალის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი.**

**14 აპრილი**

## „პრავდის" ფურცლებზე

მექანიზატორთა დამკვრელური შრომა, აღნიშნავს გაზეთი მეთაურ წერილში, საქმისადმი მათი შემოქმედებითი მიდგომა ახალი ძალით მოწმობს, რომ ქვეყნის მიწათმოქმედთ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი წარმატებით შეასრულონ სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანა — მისცენ სამშობლოს მეტი პური, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვა პროდუქცია, აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა.

„მექანიზატორთა სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიზანია, — ნათქვამია შემდეგ, — გაადიდოს პროდუქციის წარმოება, მოიპოვოს მაღალი საბოლოო შედეგები. და აქაც ფართოდ უნდა დავნერგოთ ტექნიკის ეფექტიანი გამოყენებისათვის მხვნელ-მთესველთა ბრძოლის მოწინავე გამოცდილება, რომელიც შეიძინეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთისა და სხვა რესპუბლიკების მეურნეობებში. დავნერგოთ იგი კიდევ უფრო ფართო მასშტაბით — ეს იმას ნიშნავს, რომ დიდი ნაბიჯი გადავდგათ შრომის ნაყოფიერების ამაღლების, ყანების მოსავლიანობის ზრდის გზაზე. საჭიროა თვითეულ მეურნეობაში შევიმუშაოთ და მტკიცედ განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ ტექნიკის უკუგება".

მსხვილპანელიანი ბინათმშენებლობის ყაზანის კომბინატში შექმნეს ბიტუმოვანი ქვიშის ხსნარი, რომელსაც გამოიყენებენ სამშენებლო კონსტრუქციების დასამზადებლად. გამოცდამ ცხადყო, რომ ამ ხსნარის ხარისხი გაცილებით მაღალია, ვიდრე ჩვეულებრივი მდინარის ქვიშის გამოყენებით მიღებული ხსნარი. ამ ექსპერიმენტს („ქვიშას ახალი პროფესია აქვს") გაზეთის ფურცლებზე კომენტარს უკეთებს ყაზანის ს. მ. კიროვის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დოცენტი ი. მ. ხტარშო.

გამოქვეყნებულია ი. კოზლოვის ლიტერატურული მიმოხილვა „კომუნისტის სახის ხორცშესხმა", ი. შატუნოვსკის ფელეტონი „მოავლინეთ. ნომერი შეკვეთილია!". გაზეთის ცნობით, ქობულეთის რაიონის კურორტ გონიოყვათში დამთავრდა პანსიონატ „მშენებლის" 14-სართულიანი კორპუსის მშენებლობა. წელს ქობულეთის რაიონში მწყობრში ჩადგება აგრეთვე „ცეკავშირის" დასასვენებელი სახლი და პანსიონატი „გონიო". ახლანდელ ხუთწლედში ადგილობრივი ჯანმრთელობის კერები ორჯერ მეტ სტუმარს მიიღებენ, ვიდრე გასულ ხუთწლედში.

ПРАВДА

## მიფრინავს „კოსმოსი-814"

1976 წლის 13 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-814".

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას.

სამეცნიერო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის: ორბიტის ელემენტების ზუსტად გასაზომი რადიოსისტემა; რადიოტელემეტრიული სისტემა, რომელიც დედამიწაზე გადმოსცემს მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

პროგრამით გათვალისწინებული მეცნიერული კვლევა შესრულებულია. (საქდესი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მ. მ. ლელაშვილის დაკრძალვის ორგანიზაციისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნეს კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები შ. დ. კიკნაძე (თავმჯდომარე), ზ. გ. ახვლედიანი, ლ. გ. ვარდოსანიძე, ქ. მ. ილურიძე, ზ. ა. კვაჭაძე, ბ. თ. ლობჟანიძე, თ. ი. მოსაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი.

მ. მ. ლელაშვილის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

## მ. მ. ლელაშვილის დაკრძალვის კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 16 და 17 აპრილს საღამოს 7 საათზე განსვენებულის ბინაში (ბარნოვის ქ. № 109).

გამოსვენება 18 აპრილს 3 საათზე ბინიდან.

დაკრძალვა საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში (საბურთალო).

### ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობა

# მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით

**პრაღა. (საქდესის სპეც. კორ.). მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ურყევი ერთგულების ნიშნით, უმაგალითო პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს პრაღაში ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XV ყრილობის სხდომები. ყრილობის მუშაობის უკვე პირველმა ორმა დღემ მთელი დამაჯერებლობით ცხადყო ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის პარტიული რიგების ერთიანობა, ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა პარტიის შეკავშირება მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო, იმის ღრმა რწმენა, რომ სოციალისტურ მშენებლობაში ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყველა წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიებისა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მტკიცე ერთიანობა.**

დილის სხდომაზე პირველი გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, პარტიის პრაღის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ა. კაპეკი. მან დიდად შეაფასა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა. პრაღელი კომუნისტები და ყველა მშრომელი, თქვა მან, მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს მოხსენების დებულებებს.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ლენარტმა თავის გამოსვლაში განაცხადა, რომ სლოვაკიელმა კომუნისტებმა, ყველა მშრომელმა, რომლებიც ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს ასრულებდნენ, წარმატებით დაამთავრეს მეხუთე ხუთწლედი. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში ლენინურად წყდება ეროვნული საკითხი, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ეროვნული პოლიტიკის შედეგად დღენიადაგ მტკიცდება და ღრმავდება ჩეხი და სლოვაკი ხალხების ძმური ურთიერთობა.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას მტკიცედ დაუჭირეს მხარი „ოსტრავის" შახტის წარჩინებულმა მაღაროელმა ლ. საკმარმა, დასავლეთ სლოვაკიის ოლქის სასოფლო სამეურნეო კოოპერატივის თავმჯდომარემ ბ. იანკემ.

დელეგატები მხურვალე ტაშით შეხვდნენ ყრილობის ტრიბუნაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაურის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. პ. კირილენკოს გამოჩენას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სახელით, საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით ა. პ. კირილენკო მხურვალედ მიესალმა ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ფორუმს, უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

მოსკოვიდან ჩვენი გამომგზავრების წინ, თქვა ამხ. ა. პ. კირილენკომ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა მთხოვა ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებს, მთელ ჩეხოსლოვაკიელ ხალხს გადმოვცეთ უგულითადესი სალამი, გისურვოთ ყოველივე საუკეთესო და გითხრათ, რომ გონებითა და გულით იგი მუდამ თქვენთანაა. ეს სიტყვები გამოხატავენ გრძნობებს, რითაც თვიანთი ჩეხოსლოვაკიელი მეგობრებისადმი გამსჭვალული არიან მთელი ჩვენი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი.

ჭეშმარიტად შესანიშნავია შედეგები, რომლებითაც ჩეხოსლოვაკიელი კომუნისტები შეხვდნენ თავიანთ XV ყრილობას. საზოგადოებრივი განვითარების საკითხებისადმი მარქსისტულ-ლენინური მიდგომის, მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის წინააღმდეგ თანამიმდევრული ბრძოლის, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელი როლისა და მასებთან მისი კავშირის განმტკიცების შედეგად თქვენმა პარტიამ მიაღწია საზოგადოების კონსოლიდაციას და გაიყვანა ჩეხოსლოვაკია ეკონომიური, სოციალური და კულტურული პროგრესის ახალ მიჯნებზე. ამ წლების მანძილზე განმტკიცდა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პოზიციები მსოფლიო ასპარეზზე, გაიზარდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ავტორიტეტი საერთაშორისო კომუნისტურ, მთელ რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობა, რომელიც ეყრდნობა მოპოვებულსა და მიღწეულს, აღნიშნა შემდეგ ამხ. ა. პ. კირილენკომ, ხელმძღვანელობს სოციალიზმის მშენებლობის საერთო კანონზომიერებით და შემოქმედებითად იყენებს მათ თავისი ქვეყნის კონკრეტულ პირობებში, სახავს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის საპროგრამო ამოცანას.

ეჭვი არ არის, რომ ამ შთამაგონებელი მიზნების მიღწევისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება კომუნისტური პარტიის, მთელი ჩეხოსლოვაკიელი ხალხის აღმშენებლობითი ძალები.

ის, რასაც XV ყრილობა სახავს, განხორციელდება. ამის თავდებია ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის თანამიმდევრული და პრინციპული პოლიტიკა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, კომუნისტთა შეკავშირება ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც მეთაურობს საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, მტკიცე მარქსისტ-ლენინელი, ინტერნაციონალისტი, საბჭოთა კავშირის დიდი მეგობარი ამხ. გუსტავ ჰუსაკი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილება კომუნისტური იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლის მსოფლიო გამოცდილების დიდმნიშვნელოვანი ნაწილია. თქვენი წარმატებანი განამტკიცებენ მთლიანად მსოფლიო სოციალიზმის პრესტიჟსა და პოზიციებს.

დიდი კმაყოფილებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ღრმავდება და მრავალმხრივი ხდება საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობა. მარტო განვლილ ხუთწლეულში ჩვენს ქვეყნებს შორის საქონელბრუნვა 1,5-ჯერ გაიზარდა და შეადგინა თითქმის 15 მილიარდი მანეთი, ხოლო დაწყებულ ხუთწლეულში იგი დაახლოებით 25 მილიარდ მანეთს მიაღწევს.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობას დღეს ახასიათებს პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფართო ურთიერთობა, სამინისტროებისა და უწყებების, სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების საქმიანი ურთიერთკავშირი, ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირისა და საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების აქტიური მოღვაწეობა, ასიათასობით მშრომელის ცოცხალი ურთიერთობა. მეგობრობა და ძმობა, რომლებიც საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელ ხალხებს აერთიანებს, წლითიწლობით სულ უფრო ღრმავდება და მტკიცდება.

მინდა განსაკუთრებით გავუსვა ხაზი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი პარტიების ცენტრალური კომიტეტების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, პირადად ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და გ. ჰუსაკის მუდმივ მჭიდრო კონტაქტებს. ჩვენს პარტიებს შორის დამკვიდრდა შეხედულებათა სრული ერთობა, ურთიერთპატივისცემა და ნდობა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმატებით განვავითაროთ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობა, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების მოძმე პარტიებთან ერთად შევიმუშაოთ და განვახორციელოთ შეთანხმებული კურსი საერთაშორისო საქმეებში.

ჩვენ, ამხანაგებო, დიდად გვახარებს, რომ ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა უმაღლესი ფორუმი მხურვალედ უჭერს მხარს მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამას, რომელიც დასახულია სკკპ XXV ყრილობაზე გაკეთებულ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მოხსენებაში.

ჩვენ დიდად ვაფასებთ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტრუქციულ საგარეო პოლიტიკას, მის დიდ წვლილს ევროპისა და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საქმეში, მის თანამიმდევრულ ინტერნაციონალიზმს.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ იმპერიალისტური რეაქცია ვერ შეცვლის თანამედროვე საერთაშორისო განვითარების მთავარ ტენდენციას, მშვიდობის და ხალხთა უშიშროების განმტკიცების ტენდენციას. ჩვენს დროში დაძაბულობის შენელების მატერიალიზაციისათვის, საერთაშორისო ურთიერთობის ძირეული გაჯანსაღებისათვის მებრძოლი ძალები მძლავრია უფრო, ვიდრე ოდესმე.

ამხ. ა. პ. კირილენკო შეეხო საბჭოთა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებასა და მუშაობას და ხაზი გაუსვა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას. XXV ყრილობის იდეები დღეს ასხივოსნებენ ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას. პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მშრომელთა კოლექტივებში ყრილობის შედეგების განხილვამ გვიჩვენა, რომ მთელი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებენ და უჭერენ მხარს ყრილობის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და ამოცანებს, რომლებიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, და ისინი თავიანთი მუშაობის სახელმძღვანელოდ მიაჩნიათ.

XXV ყრილობამ დაიწყო ჩვენი ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, როცა სულ უფრო მეტად ვლინდება განვითარებული სოციალისტური საზოგადოების უპირატესობანი და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დასახულ ამოცანებს შევასრულებთ იმიტომ, რომ ჩვენი პარტია და ხალხი ერთიანია, იმიტომ, რომ საბჭოთა ადამიანები უსაზღვროდ ენდობიან პარტიას და აქტიურად იბრძვიან მისი პოლიტიკის განხორციელებისათვის, იმიტომ, რომ ჩვენ სოციალისტური თანამეგობრობის მოძმე ქვეყნებთან ერთიან მწყობრში მივაბიჯებთ.

ამ ტრიბუნიდან ბევრი კარგი სიტყვა ითქვა საბჭოთა ხალხზე. ჩვენს პარტიასა და მის XXV ყრილობაზე, იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოღვაწეობას მშვიდობისა და სოციალიზმის საქმისათვის. დიდი მადლობა თქვენ, ძვირფასო მეგობრებო! დიდად ვაფასებთ თქვენს მეგობრულ გრძნობებს, რომლებიც ახალ ძალებს გვმატებენ.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობას ესწრებიან მსოფლიოს ბევრი ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები. ამით მკაფიოდ ვლინდება ჩვენს ეპოქაში გაშლილი რევოლუციური პროცესის ინტერნაციონალური ხასიათი, თქვა შემდეგ ა. პ. კირილენკომ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტები ერთნაირ პირობებში არ მოქმედებენ. ეს, ბუნებრივია, წარმოშობს რევოლუციური ბრძოლის სხვადასხვაგვარ ტაქტიკურ ფორმებს, მოითხოვს შემოქმედებითი მიდგომას აღძრული პრობლემებისა და ამოცანების გადასაწყვეტად. ამასთანავე მარქსისტ-ლენინელებს სწამთ, რომ მტკიცედ უნდა დაიცვან სოციალისტური რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის საერთო კანონზომიერებანი, მათ სამართლიანად მიაჩნიათ, რომ კომუნისტური და მუშათა პარტიების ძალასა და გავლენას ბევრად განსაზღვრავს მათი მჭიდრო ურთიერთმოქმედება საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის, კომუნისტური პარტიების პოლიტიკის, მთელი მათი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. როგორც ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევმა XXV ყრილობაზე აღნიშნა: „ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა თვითეული მარქსისტ-ლენინელის წმინდათაწმინდა მოვალეობად მიგვაჩნია".

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. ა. პ. კირილენკომ თქვა: ამხანაგებო! ჩვენ ყველანი ღრმად ვართ დაინტერესებული, რომ თვითეული ხალხი უფრო სრულად და მკაფიოდ ავლენდეს თავის უნარსა და ნიჭს, ამდიდრებდეს სოციალისტურ სახელმწიფოთა დიადი ოჯახის გამოცდილების, ცოდნის, კულტურის ოქროს ფონდს. თქვენს პარტიას ღირსეული წვლილი შეაქვს ამ ჭეშმარიტად ისტორიულ საქმეში, რომლის წარმატება მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს.

ამხ. ა. პ. კირილენკოს სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმოდა ტაში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XV ყრილობის სხდომებს შორის შესვენების დროს სკკპ დელეგაციის მეთაურმა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს გ. ჰუსაკს გადასცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საჩუქარი — ურალის ფერადი თვლებისაგან დამზადებული სუვენირი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი ხალხების ძმურ მეგობრობას.

დღეს ყრილობაზე გამოვიდნენ სოციალისტური ქვეყნების მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების მთელი რიგი დელეგაციების მეთაურები.

## ქ რ ო ნ ი კ ა

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 23 დეკემბრის ბრძანებულებაში „ქ. თბილისის საზღვრების დამტკიცების შესახებ" და ქალაქის ტერიტორია განისაზღვროს 34.650 ჰექტარით.

2. ქ. თბილისის კიროვის რაიონის სოღანლუღის დასახლება შეუერთდეს გარდაბნის რაიონს.

3. გარდაბნის რაიონის სოღანლუღის დასახლება მიეკუთვნოს სოფლების კატეგორიას, ეწოდოს სოფელი ფონიჭალა და შეიქმნას ფონიჭალის სასოფლო საბჭო.

4. გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომმა ერთი თვის ვადაში ჩაატაროს ფონიჭალის სასოფლო საბჭოს დეპუტატების არჩევნები.

5. ფონიჭალის სასოფლო საბჭოს ტერიტორიიდან ქ. თბილისის კიროვის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში არჩეულ დეპუტატებს შეუნარჩუნდეთ რწმუნებანი გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოში.

□

**საქართველოს** სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1976 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით დაადგინა გამოეყოს წალენჯიხის რაიონის ჯვარის სადაბო საბჭოს სოფელი ჩქვალერი და შეიქმნას ჩქვალერის სასოფლო საბჭო, რომლის ცენტრი იქნება სოფელი ჩქვალერი.

სოფელ ჩქვალერიდან ჯვარის სადაბო საბჭოში არჩეული დეპუტატები ინარჩუნებენ რწმუნებებს ჩქვალერის სასოფლო საბჭოში.

# ეკრანზე — ცხოვრება!

**დღეს, 15 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება საქართველოს კინემატოგრაფისტთა IV ყრილობა, რომელიც, მესამე ყრილობიდან (1971 წლის მარტი) განვლილი პერიოდის შედეგებს რომ შეაჯამებს, სკკპ და საქართველოს XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკებს ახალ საბრძოლო, შემოქმედებით ამოცანებს დაუსახავს. ყრილობის წინ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველ მდივანს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს სიკო დოლიძეს, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს რევაზ ჩხეიძეს და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს, კინორეჟისორ ლანა ღოღობერიძეს. ქვემოთ ვბეჭდავთ მათს ნაამბობს.**

### სიკო დოლიძე,

**კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი**

უკვე ნახევარი საუკუნეა ქართულმა საბჭოთა კინემატოგრაფიამ ჩვენშიც და უცხოეთშიც დამსახურებული აღიარება მოიპოვა. ეს ამბავი გვახარებს, სიამაყის გრძნობით გვავსებს. ქართული კინოს წარმატებისა და აღიარების საწინდარია ღრმად ეროვნული ხასიათი. ეს განასხვავებდა ქართულ კინოს ყოველთვის, მისი შექმნიდან ვიდრე დღემდე. ქართველი ხალხის ნიჭიერება და შრომისმოყვარეობა, მისი სწრაფვა სინათლისა და სიკეთისაკენ ის მადლიანი ნიადაგია, საიდანაც სათავეს იღებენ ეროვნული კულტურა და კინემატოგრაფიაც...

პარტიის ოცდამეხუთე ყრილობიდან ერთ თვეზე ცოტა მეტი ხანი გავიდა. დროის ამ მცირე მონაკვეთში ძნელია მთელი სისრულით აღიქვა, წარმოიდგინო ამ დიადი ისტორიული ფაქტის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მისი ძლიერი ზეგავლენა მსოფლიოს ერების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ განვითარებაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში უახლოესი წარსული ფრიად დაძაბული და საგულისხმო მომენტებით აღინიშნა. ქართველმა კინემატოგრაფისტებმა მთელი რესპუბლიკის შემოქმედებით ინტელიგენციასთან ერთად ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყველა ღონისძიებას, რომელიც მიმართული იყო რესპუბლიკაში პოლიტიკურ-მორალური ატმოსფეროს გაჯანსაღებისაკენ და რაც ეხებოდა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებას.

კინოხელოვნება მუდამ იყო და არის ჩვენი პარტიისა და მთავრობის ზრუნვის საგანი. ამის მკაფიო მაგალითებია ზემდგომი ორგანოების დადგენილებები კინემატოგრაფიის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების შესახებ.

ძირეულად გადახალისდა ქართული კინოს მუშაობა. ბევრი რამ გამოიცვალა, ახალი დაინერგა, სტუდიაში მოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორები, დრამატურგები, ოპერატორები; ახალი კადრებით შეივსო მსახიობთა შტატი, შეიქმნა შემოქმედებითი გაერთიანებები, რომლებსაც სათავეში გამოცდილი სპეციალისტები ჩაუდგნენ.

ამ ბოლო დროს „ქართული ფილმის" ნაწარმოებები ჟანრულად და თემატურად საინტერესო და მრავალგვარია. გადაღებულია ორიგინალური კომედიები და მუზიკლი, ლირიკული ნოველები და ზღაპარი, ისტორიულ-რევოლუციური და ლირიკული დრამები, შეიქმნა კლასიკური ლიტერატურის ეკრანიზაციები. შემოქმედთა ყურადღება გამახვილდა თანამედროვე ადამიანის ზნეობის საკითხებზე. ეს პრობლემა განსხვავებული თემატიკისა და ჟანრის ფილმებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი.

„ქართული ფილმის" ნაწარმოებთა წარმატებების საერთო ფონზე ამ ბოლო დროის ერთი საერთაშორისო აღიარება უნდა აღვნიშნო. თეირანის კინოფესტივალზე რეჟისორ ნანა მჭედლიძის ფილმმა „პირველმა მერცხალმა" უმაღლესი ჯილდო მიიღო. ეს მიღწევა რეჟისორის მაღალ გემოვნებაზე, პროფესიულ ოსტატობაზე მეტყველებს.

„ქართული ფილმის" მიერ შექმნილი სურათები „ფიროსმანი", „პირველი მერცხალი", „დიდი მწვანე ველი", „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ", „წუთისოფელი", „ივანე კოტორაშვილის ამბავი", „გაქცევა გათენებისას", „ციმბირელი პაპა", „ფერისცვალება", „აურზაური სალხინეთში", „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება", „მალე გაზაფხული მოვა", „დიდედები და შვილიშვილები", „იყო შაშვი მგალობელი", „სინათლე ჩვენს ფანჯრებში", „მოხეტიალე რაინდები", „მზე შემოდგომისა", „შერეკილები" ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულია და იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც რაღა თქმა უნდა, ერთ დონეზე არა დგას, მაგრამ თვითეულ მათგანში იგრძნობა პროფესიული ოსტატის ხელი და რაც მთავარია გვეხმარება უფრო სრულად შევიცნოთ სამყარო და ადამიანი.

ორიოდე სიტყვა მულტფილმებზე. ბოლო დროს ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოჩენამ ერთგვარად გამოაცოცხლა ნახატი ფილმების საქმე, თუმცა აქვე დავძენ, რომ ჯერ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ძვრა, გარდატეხა, რომელიც ამ ჟანრს ქართული კინოს საერთო დონემდე ასწევდა.

დოკუმენტური კინოს, თავისი სპეციფიკის გამო, მხატვრულზე უფრო ადრე შეუძლია გამოეხმაუროს, პასუხი გასცეს, მაყურებლამდე მიიტანოს რესპუბლიკაში მომხდარი მნიშვნელოვანი ძვრები, ეკრანზე გააცოცხლოს ხუთწლედის გმირები, რომლებიც თავიანთი დაუღალავი, თავდადებული შრომით სოფლად და ქალაქად ქმნიან სახელმწიფო დოვლათს. ამ საპატიო საქმეს უფრო მეტი მგზნებარებით უნდა ემსახურებოდეს სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდია.

ჩვენი სტუდია წელიწადში რვა მხატვრულ ფილმს იღებდა. ახლა ამას დაემატა რვა სატელევიზიო. დიდი და მნიშვნელოვანი სიახლეა, რადგან თექვსმეტი ფილმის წარმოება სავსებით დატვირთავს სტუდიის შემოქმედებით კოლექტივს.

სატელევიზიო ფილმებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჩვენი პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებები გულისხმობს ტელევიზიის შემდგომ განვითარებას, ნათელი გახდება რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღეს ხელოვნების ამ ახალ დარგს. სატელევიზიო ფილმი ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის სკოლაც არის და გამოცდაც...

კინოხელოვნების ნამდვილი ვალი მართებს კინოკრიტიკას, ხოლო ვალს კი გადახდა უნდა. კინოკრიტიკა ფეხდაფეხ ვერ მიჰყვება ეკრანის სიახლეს, ხშირად ვერ აშუქებს კინემატოგრაფიაში მომხდარ ცვლილებებს.

ერთ-ერთი აქტუალური საკითხი, რომელიც კინემატოგრაფიის წინაშე დგას, ეს არის კადრების აღზრდა, პროფესიული ფორმირება. საქართველოს თეატრალური ინსტიტუტი სასარგებლო, მნიშვნელოვან საქმეს აკეთებს. აქ ოთხი წელია არსებობს კინომცოდნეობის განყოფილება, სადაც ცხრა სტუდენტი სწავლობს. ამათ გარდა არიან კინოსარეჟისორო და კინოსამსახიობო განყოფილებების სტუდენტები, სულ ორმოცდაცამეტი ახალგაზრდა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე აღსანიშნავია კინოკავშირის რამდენიმე ღონისძიება. პირველი, რაც ჩვენი კავშირის საზოგადოებრივი ცხოვრების გააქტიურებას უკავშირდება, არის საქმიანი კონტაქტები საწარმოებთან და პირველ რიგში თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივთან.

შეხვედრები ქარხნის მოწინავე ადამიანებთან, ფილმების ჩვენება, მსჯელობა უკვე კარგ ტრადიციად იქცა. ასევე ტრადიციული გახდა მეგობრობა მცხეთისა და რუსთავის მშრომელებთან.

შარშან, აგვისტოში კინემატოგრაფისტთა კავშირმა კინომუშაკთა ჯგუფი რეჟისორ ნ. მჭედლიძის მეთაურობით მიავლინა ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლებთან. ჯგუფი ჩავიდა ნიაგრუზინსკაიაში. მოეწყო საინტერესო ამაღელვებელი შეხვედრები მშენებლებთან.

კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით წლეულს, იანვარში, თბილისში საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან მოვიწვიეთ სოციალისტური შრომის გმირები და სოფლის მოწინავე ადამიანები. სტუმრებმა ინახულეს კინოსტუდია „ქართული ფილმი", შეხვდნენ კინემატოგრაფისტებს, ისაუბრეს საჭირბოროტო, ერთურთისთვის საინტერესო საკითხებზე. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი მწერლები.

რეგულარულად ეწყობა პლენუმები კინემატოგრაფიის მტკივნეულ საკითხებზე. დღეს უკვე დიდი შემოქმედებითი მეგობრობა დამყარდა ქართველ მწერლებთან, რაც ქართული კინოს შემდგომი განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

როგორც ზემოთაც ვთქვი, საქართველოში მორალურ-საზოგადოებრივი კლიმატის შეცვლამ ცხოველმყოფელად იმოქმედა კინემატოგრაფიაზე. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მიუხედავად ამისა გასაკეთებელი კვლავაც ბევრია და ვფიქრობ, რომ კინოს ოსტატები ძალღონეს, ნიჭს, ენერგიას და გულის სითბოს არ დააკლებენ თავიანთ საქმეს, რათა ეკრანზე მთელი სრულყოფით აისახოს ჩვენი ცხოვრების სინამდვილე.

### რევაზ ჩხეიძე,

**კინორეჟისორი, კინოსტუდია „ქართული ფილმის" დირექტორი**

ნლევანდელი წელიწადი მრავალმხრივ არის ქართველი კინემატოგრაფისტებისათვის ღირსსახსოვარი. ჯერ ერთი, რომ სულ ახლახან დიდი აღმავლობის ვითარებაში წარიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესრულებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება და ხელოვნებას მუშაკებს კარგად გვესმის მათი მასშტაბების გრანდიოზულობა. მეორეც ის, რომ 5 წლის შემდეგ საქართველოს კინემატოგრაფისტთა ფორუმზე კვლავ შევიკრიბებით ჩვენი რესპუბლიკის კინომუშაკები და სჯა-ბაასი გვექნება ქართული კინოს აწმყოსა და მომავლის პერსპექტივებზე. უკანასკნელი წლები ძირითადი ტენდენციების თვალსაზრისით ჩვენთვის პროგრესისა და აღმავლობის გზა იყო. რა თქმა უნდა, შემოქმედებითს მუშაობაში ჩავარდნებიც გვქონდა, მაგრამ დროის ეს მონაკვეთი მაინც ნაყოფიერი აღმოჩნდა ქართული კინოსათვის და მან საფუძველი ჩაუყარა მომავალ გამარჯვებებსაც.

რა ფილმებს გვპირდება კინოსტუდია წლეულს? რეჟისორმა შ. მანაგაძემ უკვე დაამთავრა ფილმი „თვალი პატიოსანი" გ. ფანჯიკიძის რომანის მიხედვით. ასევე თანამედროვე თემას ეძღვნება ფილმები „ქვიშანი დარჩებიანო" (სცენარის ავტორი რ. ინანიშვილი, რეჟისორი გ. შენგელაია), „როგორც დილის ნისლი" (სცენარის ავტორი ა. ჭუპინაძე, რეჟისორი გ. ხოჯავა), „პასტორალი" (სცენარის ავტორი რ. ინანიშვილი, რეჟისორი ო. იოსელიანი), „ჰო და არა" (სცენარის ავტორი მ. ელიოზიშვილი, რეჟისორი რ. შარაბიძე)...

გ. ლეონიძის მოთხრობების მიხედვით თ. აბულაძე აპირებს გადაიღოს „ნატვრის ხე", ხოლო ე. შენგელაია „სამანიშვილის დედინაცვლის" ეკრანიზაციაზე მუშაობს. იქმნება პირველი მრავალსერიიანი სატელევიზიო ფილმი ჭ. ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხია" მიხედვით (რეჟისორები გ. ლორთქიფანიძე და გ. გაბესკირია).

საინტერესო გეგმები აქვს ქართული მულტფილმების შემოქმედებითს გაერთიანებას (ხელმძღვანელი — რეჟისორი ლ. სიხარულიძე).

თანამედროვე თემას ეხება ჩემი მომავალი სურათი, რომლის სცენარზე მუშაობს ს. ჟღენტი, ხოლო შემდეგ განზრახული მაქვს ესპანელ კინემატოგრაფისტებთან ერთად გადავიღო ერთობლივი ფილმი „დონ-კიხოტი".



**სურათებზე:** (ზემოდან) ქართული ფილმების — „გაქცევა გათენებისას", „ღვინის ქურდები", „მოხეტიალე რაინდები", „ჩირიკი და ჩიკოტელა", „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ", „აურზაური სალხინეთში" — კადრები.

### ლანა ღოღობერიძე,

**კინორეჟისორი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი**

საქართველოს კინემატოგრაფისტთა ყრილობაზე საქმიანი საუბარი გვექნება იმ პრობლემებზე, რომლებიც ქართველ კინემატოგრაფისტებს გვაწუხებს. ყრილობაზე ალბათ დაისახება ჩვენი მომავალი წარმატებათა გზები და პერსპექტივები.

სულ ახლახან დამთავრდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა. ჩემთვის დიდი პატივი იყო, რომ კომუნისტთა ამ დიდი თავყრილობის დელეგატი ვიყავი, სადაც მაღალი შეფასება მისცეს ხელოვნების მუშაკთა კეთილშობილურ საქმიანობას. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას გვაკისრებს ქართველ კინემატოგრაფისტებს. სასიამოვნოა, იმის შეგრძნება, რომ ჩვენ ყოველდღიურად ვგრძნობთ პარტიისა და მთავრობის გულისხმიერ დამოკიდებულებასა და ზრუნვას. განა ამის დასტური არ არის, რომ ჩვენს დედაქალაქში, თეატრალური ინსტიტუტის კედლებში გაიხსნა კინოსარეჟისორო ფაკულტეტი, კინოსტუდიაში შეიქმნა კინომსახიობთა თეატრი, სამოსწავლო სტუდია, დიდი თანხები გამოიყო უახლესი აპარატურის შეძენისათვის, ჩამოყალიბდა შემოქმედებითი გაერთიანებები, რომლებიც მეტად რაციონალური და პროგრესული წამოწყებაა. მწერლები, რეჟისორები ვიკრიბებით და ვმსჯელობთ მომავალი ფილმის ხორცშესხმაზე. მხატვარს საშუალება ეძლევა სრულად გამოავლინოს მთელი თავისი შესაძლებლობა. სწორედ იმის გამო, რომ ქართულმა კინომ ბოლო წლებში თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა, როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო მასშტაბით. ჩვენი მოვალეობაა უფრო მეტად გავუფრთხილდეთ მის ტრადიციებს, დღევანდელ პრესტიჟს და მეტი მობილიზებით ვიმუშაოთ.

რაც შეეხება ჩემს შემოქმედებითს გეგმებს, ზ. არსენიშვილთან და ე. ახვლედიანთან ერთად ვმუშაობ მომავალი ფილმის სცენარზე, რომელიც ჟურნალისტი ქალის ცხოვრებას, მის საინტერესო პროფესიას ეძღვნება. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა ფილმში სხვადასხვა ბედისა და სოციალური მდგომარეობის ადამიანები გამოვიყვანოთ და მათი პარადული მხარე კი არ ვაჩვენოთ, არამედ შევქმნათ ჩვენი თანამედროვეების სოციალური პორტრეტები.



სურათზე (მარცხნიდან): საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. წერეთელი?, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი რ. ჩხეიძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. შენგელაია, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ს. დოლიძე, რეჟისორი რ. ხოტივარი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ახათიანი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლ. ღოღობერიძე.

ვლ. ბინზბურგის ფოტო.

მეგობართა ხელოვნება

# ცეკვავს „ბერიოზკა“



1948 წელს მოსკოვში ნადეჟდა ნადეჟდინამ მოცეკვავეთა ჯგუფთან ერთად დადგა ქალთა ქორეოგრაფიული სცენა „ბერიოზკა“ და ეს სახელი შემდგომ მთელ ანსამბლს დაერქვა.

ნ. ნადეჟდინას ჭეშმარიტმა ფანტაზიამ და რუსული ხალხური ცეკვის ღრმა ცოდნამ განხორციელება ჰპოვა მის მიერ დადგმულ ცეკვებში, ქორეოგრაფიულ სუიტებსა და სცენებში, რომლებიც ანსამბლის პროგრამას შეადგენს.

ანსამბლი „ბერიოზკა“ მსოფლიოს ყველა კონტინენტზე გამოდიოდა.

პლანეტის ორმოცდაცხრამეტი ქვეყნის მაყურებელი ტაშს უკრავდა ანსამბლის მსახიობთა ხელოვნებას. პარიზი, ნიუ-იორკი, რიო-დე-ჟანეირო, მელბურნი, დელი, მადრიდი, ტოკიო, რომი. სად არ ყოფილა ანსამბლი!

ანსამბლის დამაარსებელი და უცვლელი ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ნადეჟდა ნადეჟდინა დღესაც აღსავსეა შემოქმედებითი ძიებებითა და ჩანაფიქრებით. ბევრმა მათგანმა უკვე განხორციელება ჰპოვა პარტიის XXV ყრილობის მუშაობის დღეებში.

თბილისელებს საშუალება ექნებათ ნახონ ანსამბლ „ბერიოზკას“ ახალი ნამუშევრები.

1974 წლის დეკემბერში ანსამბლს „აკადემიურის“ საპატიო წოდება მიენიჭა. კოლექტივს მიღებული აქვს ჯილდოები უცხოეთში გამოსვლებისათვის, კერძოდ — მშვიდობის მსოფლიო საბჭოს „დიდი ოქროს მედალი“.

მთელი თავისი მუშაობა ანსამბლმა წარმართა ხუთწლედის ძირითადი ამოცანის შესასრულებლად — ხარისხის ასამაღლებლად. ანსამბლის მონაწილეთათვის ეს არის ყოველდღიური დაუღალავი რეპეტიციები, დამდგმელ ქორეოგრაფთა შემოქმედებითი ძიებები.

სახელმწიფო აკადემიური ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიოზკა“ გასტროლებს გამართავს თექვსმეტიდან ოცდაერთ აპრილამდე თბილისის სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

**ზ. რცხილაძე.**

**სურათზე:** „რუსული ცეკვა“ ანსამბლ „ბერიოზკას“ ქალთა ჯგუფის შესრულებით.

## ახალი ფილმი

# „ქვიშანი დარჩებიან“

**ილეგს. კინოსტუდია „ქართული ფილმი“**

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დაიწყო ახალი ფერადი სრულმეტრაჟიანი ფილმის გადაღება, რომლის სახელწოდებაა „ქვიშანი დარჩებიან“ (სცენარის ავტორი რ. ინანიშვილი და გ. შენგელაია). ფილმი, რომელიც ასახავს ჩვენი რესპუბლიკის თანამედროვე ცხოვრებას, მოგვითხრობს კახეთში ერთ-ერთი საირიგაციო არხის მშენებლობაზე, მისი კოლექტივის შრომით საქმიანობაზე.

ფილმის უმეტესი მოქმედი პირნი არ არიან მსახიობები, ისინი ცხოვრობენ და შრომობენ კახეთის მადლიან მიწაზე, სადაც მიმდინარეობს ახალი ფილმის უმთავრესი ეპიზოდების გადაღება.

ფილმის მთავარი გმირია სამშენებლო სამმართველოს უფროსი ვაჟა გიორგაძე, რომლის საინტერესო სახეს ახორციელებს ფილმის დამდგმელი რეჟისორი გ. შენგელაია. ფილმის ოპერატორები არიან ა. მღებრიშვილი და ლ. მაჩაიძე.

მუსიკის ავტორია — ვ. კუხიანიძე, მხატვარი — ე. რურუა.

**სურათებზე:** ზემოთ — ფილმის ერთ-ერთი გმირი „თოვლა“ — ახმეტის სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე ნ. გაორგაშვილი, ქვემოთ — ფილმის გადაღების ერთ-ერთი მომენტი.

ხ. ძილაძის ტექსტი და ფოტო.





# სამხატვრო თეატრის ერთი სპექტაკლი

**გუშინ** რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში მოსკოვის მ. გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიურმა თეატრმა გამართა წარმოდგენა — ა. გელმანის „პარტკომის სხდომა“. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორია რსფსრ სახალხო არტისტი ო. ეფრემოვი. წარმოდგენაში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ა. გეორგიევსკაია, რსფსრ სახალხო არტისტები ე. ევსტიგნეევი, ლ. გუბანოვი, მ. ზიმინი, ა. კალიაგიანი, რსფსრ დამსახურებული არტისტები გ. შევცოვი, ვ. ნევინნი, ვ. კალინინა, ი. მონასტირსკი, მსახიობები ე. კინდინოვი, ბ. შერბაკოვი, ს. დესნიცკი და სხვები.

სამხატვრო თეატრი თბილისში გვესტუმრა „მეგობრობის“ თეატრის მოწვევით. გელმანის ამ პიესას ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს რუსთაველის თეატრის დადგმით („დასაწყისი“), რომელიც მოსკოვში გასტროლების დროს ქართველმა მსახიობებმა აჩვენეს.

სამხატვრო თეატრის სპექტაკლს“ — „პარტკომის სხდომას“ ასევე გულთბილად შეხვდა თბილისელი მაყურებელი.

**ნ. გამყრელიძე.**

# გვეწვივნენ ავსტრიელი მუსიკოსები

**ჩვენს** ქვეყანაში კონცერტებს მართავენ ავსტრიელი მუსიკოსები, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების მოწვევით გვესტუმრნენ. ქართველ მსმენელთა წინაშე წარსდგა ვენის შუბერტის სახელობის კვარტეტი. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კონცერტი, რომელზეც შესრულდა შუბერტისა და ბეთჰოვენის კვარტეტები, სმეტანას კონცერტი. საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების სახელით ავსტრიელ მუსიკოსებს გულთბილად მიესალმა ამ საზოგადოების მუსიკის სექციის პრეზიდენტი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ა. მაჭავარიანი.

მსმენელები აღტაცებით შეხვდნენ კვარტეტის გამოსვლას. თუმცა კვარტეტი ჯერ ახალგაზრდაა, მაგრამ მსოფლიო სახელი მოიხვეჭა — ავსტრიელმა მუსიკოსებმა — ფლორიან ცვიაუერმა, ერიჰ შაგერლმა, თამას რიიბმა, რუდოლფ ლეოპოლდმა მოხიბლეს მსმენელები თავიანთი საშემსრულებლო მანერით, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს კომპოზიტორმა ა. მაჭავარიანმა. — კვარტეტს აასიათებს მასშტაბურობა და ფართო დიაპაზონი, ხალასი ბგერა, მაღალი კულტურა და ანსამბლური შეხმატკბილება. მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო კვარტეტის მიერ ბეთჰოვენის ნაწარმოებთა ტემპერამენტიანი შესრულება.

(საქინფორმი).

## ჭადრაკში სსრ კავშირის თასზე

# იწყება დიდი ასპარეზობა



მსოფლიოს ჩემპიონები ა. კარპოვი და ნ. გაფრინდაშვილი.

**სსრ** კავშირის თასის გათამაშების უპირველესი მიზანი იმ უძლიერესი გუნდის გამოვლენა გახლავთ, რომელიც გაისად ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას. ეს ახალი საჭადრაკო შეჯიბრებაა. წლეულს ჩემპიონთა თასს ორი გუნდილა შემორჩა — „ბურევესტნიკი“ (საბჭოთა კავშირი) და ქ. ზოლინგენის (გფრ) გუნდი.

გარდა ამ ძირითადი მიზნისა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოჭადრაკეებს, ცხადია, პირადი გეგმებიც აქვთ. ამ თვალსაზრისით ძალიან საინტერესო იქნება შეჯიბრებები ქალთა და ვაჟთა პირველ დაფებზე. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილს (ცსკა) მეტოქეები იქნებიან მსოფლიოს ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ნანა ალექსანდრია („ბურევესტნიკი“), საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ლიუდმილა ბელავენეცი („ტრუდი“), საერთაშორისო ოსტატი ტატიანა ზატულოვსკაია („დინამო“) და სხვები. ამ მეტოქეებთან ერთად, ცხადია, საინტერესო იქნებოდა საერთაშორისო ოსტატი ირინე ლევიტინას თამაშიც, მაგრამ იგი ნონასთან ერთად არმიელთა კოლექტივს მიეკუთვნება და, ამდენად, მეორე დაფაზე უხდება გამოსვლა.

ვაჟთა პირველ დაფაზე ისეთი საინტერესო შეჯიბრებაა მოსალოდნელი, რომელმაც ნებისმიერი საერთაშორისო ტურნირი უნდა დაჩრდილოს. მართლაც და სად ნახავთ ერთ ასპარეზობაში ისეთ მონაწილეებს, როგორიც არიან მსოფლიოს ჩემპიონი კარპოვი (ცსკა), მსოფლიოს ექს-ჩემპიონები სმისლოვი („ბურევესტნიკი“), პეტროსიანი („სპარტაკი“), ტალი („დაუგავა“), დიდოსტატები კორჩნოი („ტრუდი“), ბრონშტეინი („დინამო“), ლუტიკოვი (სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები) და რომანიშინი („ავანგარდი“).

გუშინ ასპარეზობა საზეიმოდ გაიხსნა.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თავმჯდომარემ ა. ჩიქვაიძემ.

მონაწილეებს მიესალმნენ საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენელი, დიდოსტატი ვ. ანტოშინი, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი კ. ვირსალაძე, გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის მუშა, სოციალისტური შრომის გმირი ვ. ასათიანი, მსოფლიოს ჩემპიონები ნონა გაფრინდაშვილი და ანატოლი კარპოვი.

დასასრულ შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა ი. ბონდარევსკიმ ჩაატარა წილისყრა, რომელმაც ასეთი შედეგები მოგვცა: 1. „ბურევესტნიკი“, 2. „ავანგარდი“, 3. „დაუგავა“, 4. „სპარტაკი“, 5. „ტრუდი“, 6. ცსკა, 7. „დინამო“, 8. სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები.

ამრიგად, დღეს პირველ ტურში ერთმანეთს ხვდებიან „ბურევესტნიკი“ — სოფლის მოჭადრაკეთა ნაკრები, „ავანგარდი“ — „დინამო“, „დაუგავა“ — ცსკა და „სპარტაკი“ — „ტრუდი“.



გათამაშების ალმის აღმართვა.

ხ. ძილაძის ფოტო.

# ადამიანს ჭადრაკი სჭირდება...

**გენიალური** მოჭადრაკე კაპაბლანკა ამბობდა: „ჭადრაკი რაღაც უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ თამაში“. ეს მართლაც ასეა. გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსი და კიბერნეტიკოსი, პროფესორი გ. კლაუსი (გდრ) წერს: „ჭადრაკის სახით ადამიანი ცხოვრების გზაზე შეხვდა თამაშს, რომლის წესებსა და აგებულებაში ვლინდება დიალექტიკის ძირითადი კანონები — აბსტრაქციულ მაგრამ ამავე დროს კრისტალურად ნათელ ფორმაში გამოსახული. ჭადრაკში ადამიანი თითქოს თავის არსს ამტკიცებს“. ამიტომაც არის, რომ ეს ბრძნული თამაში მუდამ იზიდავს ახალ თაობებს.

თითქმის თხუთმეტი საუკუნეა არსებობს ჭადრაკი, იგი მუდამ მხარში მიჰყვება ეპოქებს. ეს იმიტომ, რომ მისი წესები საზოგადოებასთან და მეცნიერების პროგრესთან ერთად იცვლებოდა. სწორედ ამიტომ ჩვენს, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის საუკუნეშიც ჭადრაკს დიდი მიმზიდველობა აქვს.

დღეს ბევრ მეცნიერს, პედაგოგს, ფსიქოლოგს საჭიროდ მიაჩნია ბავშვებისთვის ჭადრაკის სწავლება.

ევროპის ზოგი ქვეყნის (ჰოლანდიაში) და საბჭოთა კავშირის ქალაქების (ლენინგრადში, რიგაში) ზოგიერთ საშუალო სკოლაში ჭადრაკი სასწავლო დისციპლინად დაამკვიდრეს. პირველი შედეგები ამართლებს გადადგმულ ნაბიჯს.

ჭადრაკის სწავლება თბილისის № 1 რესპუბლიკურ ექსპერიმენტულ საშუალო სკოლაშიც (დირექტორი ლ. ჩიქვანაია) შემოიღეს შარშან. ჯგუფებად ასწავლიან ნული ჯგუფების მოსწავლეებს. გოგონები და ბიჭუნები კვირაში ერთ საათს მეცადინეობენ. ისინი ეცნობიან თამაშის შინაარსს — სვლებს, წესებს, პარტიის ჩაწერას და ერთმანეთსაც ეჯიბრებიან. სწავლებას სახალისო, გართობის სახე აქვს.

აქვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ სკოლა ჭადრაკთან დანათესავებაში მიზნად ისახავს გონებაგახსნილი, მოაზროვნე და შრომისმოყვარე ახალგაზრდების და არა მოჭადრაკეების აღზრდას.

როცა ჭადრაკს ესოდენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ბუნებრივია, ვიკითხოთ: რა არის ჭადრაკი, რის მოცემა შეუძლია მას?

ვ. ი. ლენინს უთქვამს ჭადრაკი გონების ვარჯიშიაო. ამ განსაზღვრაში მოცემულია ადამიანისთვის ჭადრაკის სარგებლიანობის მთავარი ნიშანი. გონებას ისევე სჭირდება წვრთნა, როგორც სხეულს.

მართალია, ჭადრაკს სპორტს მიაკუთვნებენ, მაგრამ ამით როდი ამოიწურება თამაშის ბუნება, ღირებულება. ჭადრაკი ღრმად ინდივიდუალური, სოციარი თვისებებით გამოირჩევა. სწორედ მათს შესახებ კარგად საუბრობს პროფესორი გ. კლაუსი, რომლის ძირითადი მოსაზრებები ქვემოთ მოგვყავს:

„სოციალიზმის დროს და ავტომატიკის საუკუნეში ადამიანის ბრძოლა ბუნებასთან და საკუთარ თავთან საზოგადოების განვითარების უმთავრეს ელემენტად რჩება. ან, ჰერაკლიტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავა ყოველი არსებითის საფუძველია“. გარე სამყაროსთან წინააღმდეგობა სწავლის დროს, მეცნიერული კვლევისას ან დაზგასთან მუშაობისას ადამიანისაგან მოითხოვს შეუპოვრობას, დაკვირვებას, შინაგან დისციპლინას, სითამამესა და რისკს, კრიტიკასა და თვითკრიტიკას, შესაძლო წარუმატებლობათა და სასოწარკვეთილებათა გადატანის უნარს და მაინც ბრძოლას წარმატებისთვის. ეს ძვირფასი თვისებები, რომლებიც ადამიანის პიროვნებას აყალიბებენ, კაცს აკვანში არ ეძლევა. ისინი გონების განვითარების დროს ჩნდებიან. ჭადრაკის თამაში, რომელიც არის ბრძოლის აბსტრაქტული ასახვა, დიდად უწყობს ხელს ამ ძვირფასი თვისებების ჩამოყალიბებას...

გადაუჭარბებლად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჩვენს დროში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა ხელმისაწვდომია მხოლოდ იმ ადამიანისთვის, რომელსაც უნარი აქვს მოკლე დროში ანალიტიკურად გადაამუშაოს ფაქტებისა და ინფორმაციის დიდი ნაკადი. სწორედ ჭადრაკს აქვს ის პოტენციური თვისებები, რომელიც მეცნიერული სიზუსტისა და ანალიტიკური ჩვევების აღზრდის საშუალებაა.

შეუძლია თუ არა ჭადრაკს, მისი აბსტრაქტულობის მიუხედავად, დაეხმაროს ადამიანს გარკვეული გადაწყვეტილებების მიღებაში? რა თქმა უნდა, თუმცა საჭადრაკო დაფაზე მომხდარი კონფლიქტები თავისი შინაარსით განსხვავდებიან ცხოვრებისეულისგან. მაგრამ მნიშვნელოვანია სხვა გარემოება: ვიდრე მოჭადრაკე აირჩევს სვლას დიდი არჩევანიდან, მან მეტოქის ყველა საპასუხო სვლა უნდა განიხილოს. სწორედ აქ არის ჭადრაკის შეხების წერტილი ცხოვრებასთან. ადამიანი, რომელიც ჭადრაკს თამაშობს, შეიძლება შევადაროთ უმაღლეს კიბერნეტიკულ სისტემას. „მოსწავლე კიბერნეტიკულ სისტემას“ კონკრეტულ სიტუაციაში შეუძლია ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მან წინასწარ გაითამაშა ვარიანტები მოდელის მიხედვით. ასეთი თამაში გართობა როდია, არამედ აუცილებლობაა „მოსწავლე კიბერნეტიკული სისტემის“ ევოლუციისათვის.

ადამიანს უყვარს თავგადასავალი. ეს მისი ცხოვრებისეული მოთხოვნილებაა. გამარჯვება, რომელსაც იგი მოიპოვებს მძიმე განცდების შემდეგ, ადამიანს სიხარულს ანიჭებს. ჭადრაკში გამარჯვებას შეუდარებელი კმაყოფილების გრძნობა მოაქვს. ამიტომაც ჭადრაკის თამაში ხელს უწყობს სულიერ სიჯანსაღეს“.

როგორც ვხედავთ, ადამიანს სჭირდება ჭადრაკი. ამიტომაც ჩვენი პარტია და მთავრობა, რომელნიც გამსჭვალული არიან საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის ზრუნვით, ყოველმხრივ ხელს უწყობენ ჭადრაკის განვითარებას, მასში მის პოპულარობას, დიდად აფასებენ ჩვენს მოჭადრაკეებს, მწვრთნელებსა და ორგანიზატორებს.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ჭადრაკთან ჩვენი ახალგაზრდობის დასაკავშირებლად. საილუსტრაციოდ ერთი ფაქტიც კმარა. საქართველოში იგრძნობა მწვრთნელების ნაკლებობა. მაგრამ ეს თვალშისაცემი არ იქნებოდა, რომ სკოლების ფიზიკური აღზრდის მასწავლებლებმა იცოდნენ ჭადრაკის თამაში, ერკვეოდნენ შეჯიბრებათა ორგანიზაციის საკითხებში. ასე არ არის იმიტომ, რომ საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს ერთ სემესტრსაც კი არ ასწავლიან ჭადრაკს, თითქოს ეს ბრძნული თამაში სპორტულ კლასიფიკაციაში არ შედიოდეს.

ჭადრაკი ახალისებს ადამიანთა ცხოვრებას, ამდიდრებს მას. ამიტომაც იგი კაცობრიობის კერპია.

**თ. გიორგაძე,**
საერთაშორისო არბიტრი.

## შაში

# 13 წლის ჩემპიონი

**რესპუბლიკის** 12 უძლიერესი მოშაშე ქალი იბრძოდა ასუჯრედიან შაშში საქართველოს ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად. ლიდერობა თავიდანვე ხელთ იგდეს საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა თამარ გამხიტაშვილმა და თბილისის 126-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა, ოსტატობის კანდიდატმა მაია მოსიძემ („კოლმეურნე“).

პირველი ადგილი ამ ტურნირში 13 წლის მაია მოსიძემ მოიპოვა, რომელმაც 9 ქულა მოაგროვა 10 შესაძლებლიდან და პირველად გახდა საქართველოს ჩემპიონი. მეორე ადგილზე გამოსულ გამხიტაშვილს („ბურევესტნიკი“) 8,5 ქულა აქვს. მესამე ადგილზეა ფოთის პირველი საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი ნინო ფაილოძე — 8 ქულა.



**სურათზე:** საქართველოს 1976 წლის ჩემპიონი მაია მოსიძე.

ი. იუნაევის ფოტო.

## ჰოკეი

# დიდი ანგარიშით

**მსოფლიოს** და ევროპის ჩემპიონატზე კატოვიცეში გაიმართა მორიგი მატჩები.

შეჯიბრების ლიდერმა — ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა დიდი ანგარიშით 7:1, (1:1, 4:0, 2:0) მოუგო ფინეთის გუნდს და ახლა 8 შესაძლებლიდან 8 ქულა აქვს.

დიდად საინტერესო იყო ძველი მეტოქეების — მსოფლიოს თოთხმეტგზის ჩემპიონის — სსრ კავშირის ნაკრებისა და შვეციის გუნდის მატჩი. საბჭოთა ჰოკეისტებმა ჩვეული ოსტატობით იასპარეზეს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს — 6:1 (2:0, 2:0, 2:1).

## ერთი ბურთის სხვაობით

**წყალტუბო.** კიევში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. თბილისის „დინამომ“ ერთი ბურთის სხვაობით (6:7) წააგო მოსკოვის „დინამოსთან“.

## ამინდი

**გუშინ** დასავლეთ საქართველოში უნალექო ამინდი იდგა. დაბლობ რაიონებში 13 საათზე 16-21, მთაში, 15-19 გრადუსი სითბო აღინიშნა.

აღმოსავლეთ საქართველოშიც უმეტესად უნალექო ამინდი იყო, ბორჯომში წვიმდა, ახალქალაქის მთებში თოვდა.

დღეს დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მცირე წვიმაა მოსალოდნელი. დაბლობ რაიონებში 18-23, მთაში 13-18 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში მოსალოდნელია წვიმა და ელჭექი.

თბილისში მოსალოდნელია 22-24 გრადუსი სითბო.

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**

## ჯანმრთელობა თუ გვინდა

# დღეგრძელობის საწინდარი

### დაბერების პროცესის შესწავლის მეცნიერული საკითხები

**დაბერების** ბიოლოგიური არსის გარკვევა ბიოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთი აქტუალური საკითხია. სიცოცხლის ხანგრძლივობის და დღეგრძელობის ხელშემწყობი ფაქტორების დადგენას, გარდა სამედიცინო ასპექტისა, დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. დაბერების პროცესი მიმდინარეობს არა მარტო ორგანიზმში, როგორც ბიოლოგიურ ერთეულში, არამედ იგი გარკვეულ კვალს ამჩნევს საზოგადოების სტრუქტურას მთლიანად და ადამიანთა ურთიერთობის სხვადასხვა სფეროს.

ესოდენ დიდი ინტერესი დაბერების პროცესის ბიოლოგიური და სოციალური არსის შესწავლისადმი განპირობებულია ბიოლოგიისა და მთელი რიგი სამედიცინო დარგების სწრაფი განვითარებით, განსაკუთრებით იმ აღმოჩენებით, რომლებიც ეხება გენეტიკური ინფორმაციის გადაცემის მექანიზმის ახსნას, ცილების ბიოსინთეზის არსის გარკვევას, ნივთიერებათა ცვლის კანონზომიერების დადგენას და სხვ. ამ მიღწევებმა მოამზადა მყარი საფუძველი დაბერების პროცესის ფუნდამენტალური შესწავლისათვის. მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ, თუ მეოცე საუკუნის პირველი ორი მესამედი ფიზიკისა და მათემატიკის ეპოქა იყო, უკანასკნელი მესამედი და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი იქნება ბიოლოგიის ეპოქა—სიცოცხლის არსის ამოხსნისა და ამ პროცესების მართვის ეპოქა.

მეორე მომენტი, რომელმაც განსაზღვრა ინტერესი გერონტოლოგიისადმი, იყო ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში მომხდარი დიდი დემოგრაფიული ძვრები, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში საგრძნობლად გაიზარდა უფროსი ასაკის პირთა ხვედრითი წონა. საქართველოში 1897 წელს 60 წლისა და მეტი ასაკის პირები მოსახლეობის 7,1 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო 1970 წელს ამ რიცხვმა 11,8 პროცენტს მიაღწია. საბჭოთა კავშირში პენსიონერთა რაოდენობა დღეისათვის 44 მილიონს შეადგენს და ნავარაუდევია, რომ უახლოეს მომავალში იგი 80 მილიონსაც მიაღწევს.

საქართველოში დღეგრძელობის პრობლემა ყოველთვის იპყრობდა მკვლევართა ყურადღებას. ძველ ქართულ დამწერლობით ძეგლებში ასახულია დაბერებისა და დღეგრძელობის საკითხები. საბჭოთა საქართველოში გერონტოლოგიური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებას განსაკუთრებით ფართო გასაქანი მიმდინარე საუკუნის 60-იანი წლებიდან მიეცა.

1959 წელს პროფესორ გ. ფიცხელაურის ინიციატივით საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გერონტოლოგიის კაბინეტი.

გერონტოლოგთა და გერიატრთა თბილისის საზოგადოება დაარსდა 1959 წელს, რესპუბლიკური — 1965 წელს, ხოლო „გერონტოლოგია-გერიატრიის“ საკავშირო საპრობლემო კომისიის ამიერკავკასიის ჯგუფი — 1964 წელს.

1973 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა გერონტოლოგიისა და გერიატრიის სამეცნიერო-საკოორდინაციო საპრობლემო საბჭო, რომელმაც რესპუბლიკაში გერონტოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარების ვრცელი პროგრამა დასახა.

ცნობილია, რომ დღეგრძელობის მაჩვენებლით საქართველო, ამიერკავკასიის რესპუბლიკებთან ერთად მკაფიოდ გამოირჩევა სხვა ქვეყნების ფონზე. აქ ბუნებრივად არსებობს გერონტოლოგიური კვლევის ობიექტი ხანგრძლივი დაკვირვებებისათვის.

უფროსი ასაკის პირთა რიცხვის, ესოდენ შესამჩნევი ზრდა, რომელმაც გარკვეული კვალი დააჩნია ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა ასაკობრივ სტრუქტურას, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე აყენებს საკითხს ხანშიშესული და მოხუცი ასაკის პირთა სპეციალიზებული სამედიცინო მომსახურების საჭიროებაზე. ეს კი პირველ რიგში დაკავშირებულია კადრების შერჩევასა და მომზადებასთან. ექიმთა ფართო მასებისა და საშუალო სამედიცინო პერსონალის დასპეციალებასთან გერიატრიის მიმართულებით.

საბჭოთა საქართველოს ყოველი ოჯახის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების მზარდი გაუმჯობესება და საუკუნოვანი ტრადიცია იძლევა იმის პირობას, რომ მოხუცმა მშობლებმა შვილებთან ერთად იცხოვრონ. ამდენად თანამედროვე პირობებში მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატები იძენენ ახალ დანიშნულებას და გვევლინებიან გერიატრიულ დაწესებულებებად, ვინაიდან აქ თავს იყრიან ადამიანები, რომელთაც ძირითადად მკურნალობა და ხანგრძლივი მეთვალყურეობა ესაჭიროებათ. ამდენად ასეთი სახლები კარგავენ თავშესაფრებისადმი საზოგადოებაში ჯერ კიდევ შემორჩენილი არცთუ მაინცდამაინც სასიამოვნო დამოკიდებულების მნიშვნელობას და გვევლინებიან სპეციალურ სამედიცინო გერიატრიულ დაწესებულებებად.

უფროსი ასაკის მოსახლეობის შრომის გამოყენება ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. მოხუც პენსიონერთა შრომის გამოყენებას, გარდა ეკონომიურისა, დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. იმის შეგნება, რომ იგი, ხანშიშესული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ საჭირო წევრია, რომ მისი ცოდნა და გამოცდილება ჯერ კიდევ სჭირდება საზოგადოებას, ძლიერი, „სამკურნალო „ელექსირია“ აქტიური დღეგრძელობის მისაღწევად.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ დაავადებათა ნომენკლატურაში ახალი დასახელება „პენსიონერთა დაავადება“, უფროსი ასაკის პირთა მუშაობის სფეროს შერჩევისათვის დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, ხანდაზმული ადამიანი საჭიროა დავარწმუნოთ, რომ ნორმალური მუშაობა, ძალების რაციონალური გამოყენება მისი ჯანმრთელობის საწინდარია. მეცნიერულად უნდა შევიმუშაოთ უფროსი ასაკის პირის დატვირთვის ნორმები. წინააღმდეგ შემთხვევაში სარგებლობის მაგივრად შეიძლება ზიანი მივაყენოთ მოხუცის ნერვულ, გულ-სისხლძარღვთა და სხვა სისტემებს, რომლებიც მეტნაკლებად ისედაც დაზიანებულია.

მეტად მნიშვნელოვანია სახელმწიფოსათვის მოხუც პენსიონერთა შრომის ეკონომიური ეფექტურობა. ამჟამად საბჭოთა კავშირში მოხუც პენსიონერთაგან მუშაობას აგრძელებს მხოლოდ 12-15 პროცენტი, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დარჩენილ პენსიონერთაგან 40 პროცენტი შრომისუნარიანია შრომის სხვადასხვა მოცულობის შესრულების მხრივ, შეიძლება ითქვას, სახელმწიფო ყოველწლიურად კარგავს მილიარდობით მანეთის პროდუქციას. მოხუცი პენსიონერების დასაქმება პირველ რიგში მოითხოვს მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის განმსაზღვრელი კრიტერიუმის შემუშავებას, შესაფერისი სამუშაო დროის და დატვირთვის მოცულობის განსაზღვრის მაჩვენებლების დადგენას, დასაქმების ხასიათის შერჩევასა და სხვ.

დასმული პრობლემის სწორი და დროული გადაწყვეტა მოითხოვს რესპუბლიკაში გერონტოლოგიისა და გერიატრიის დარგით, სამეცნიერო-საკვლევო და სამკურნალო დაწესებულებების კომპლექსურ-შეთანხმებულ მუშაობას ან კიდევ უკეთ სპეციალიზებული დაწესებულების ჩამოყალიბებას. ასეთი დაწესებულების შექმნა ხელს შეუწყობს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას, ამ პრობლემით განკუთვნილი სახელმწიფო თანხების რაციონალურ გამოყენებას, სპეციალისტთა კადრების მომზადებას და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

დაბერების პროცესის მეცნიერული შესწავლა ფართო მსჯელობის საგანი ხდება სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტებისათვის. სიბერე სიცოცხლის გარკვეული ეტაპია, სიბერე არ უნდა იყოს უშინაარსო, იგი შეიძლება და უნდა გახდეს საზოგადოებისათვის სასარგებლო ცხოვრების პერიოდი.

**ნ. ჯავახიშვილი,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**ს. დალაქიშვილი,**
ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიის განყოფილების გამგე.

## ტელევიზია

### 15 აპრილი

**პირველი პროგრამით**

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მიხეილ ჭიაურელი“, 11.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე ქართული მხატვრული ფილმი „ბიჭები იასამნის ქუჩიდან“, 16.30 — მოსწავლეთათვის — რუსული ენა, 17.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, 17.15 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, 18.00 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: ფინეთისა და შვეციის ნაკრები გუნდები. მესამე პერიოდი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან), 18.40 — მოსწავლეთათვის „მუსიკალური გასაღები“. ფერადი გამოსახულებით (გამეორებით), 19.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბერიძეების ოჯახი“, 19.20 — „ჩვენი კომენტარი“, 19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — „ოქროპირი“ — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 20.45 — „სახვითს ხელოვნებასა და არქიტექტურაში ლენინური პრემიის მოსაპოვებლად“ — ზ. წერეთელი, 21.10 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.45 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: ჩეხოსლოვაკიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდები. მესამე პერიოდი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან), 22.15 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.45 — კონცერტი, 23.30 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში: საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა პოლონეთიდან).

**მეორე პროგრამით**

18.05 — რუსული სკოლების მესამე კლასელთათვის — ქართული ენა, 18.35 — დოკუმენტური ფილმი, 18.45 — მე-8-მე-10 კლასელთათვის — ფიზიკა, 19.30 — ქართული მხატვრული ფილმი „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, 21.05 — განცხადებები, 21.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სერგო ზაქარიაძე“.

## რადიო

### 16 აპრილი

**პირველი პროგრამით**

08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.32 — საოპერო მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — რ. შუქანი. სიმღერები, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — ნ. მიასკოვსკი. მეშვიდე სიმფონია, 11.45 — „ხვალ კომუნისტური შაბათობაა“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — გ. ლეონიძის ლექსები, 12.30 — უკრავს ლ. კოგანი, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — კონცერტი, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა. 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 13.50 — მოსწავლეთათვის გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს მ. ხვიტია, 17.40 — მოსწავლეთათვის. „მეცნიერთა ლაბორატორიებში“, 18.05 — ქართული საბალეტო მუსიკა, 18.45 — ე. ჟარკოვსკი. სიმღერები, 19.00 — „რატომ ჩამორჩა მშენებლობა“, რეიდის მასალები, 19.15 — ა. ლიადოვი. საორკესტრო პიესები, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.20 — საფორტეპიანო პიესები, 20.30 — რადიოჟურნალი „ჯანმრთელობა“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — ნ. ტუღუშის, თ. ზაალიშვილისა და ი. შუშანიას კონცერტი, 22.00 — ს. დემურხანაშვილი. ორი პატარა მოთხრობა, 23.30 — რ. ლაღიძე. სიმღერები.

## თეატრები

### 15 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური (მცირე დარბაზი) — ბერნარდა ალბას სახლი; კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ნარტოოგის დღესასწაული (ფიროსმანი); ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სხვისი შვილების მამა.

**რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ**

კომუნისტი

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, ხამდივნოს — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-84, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 02248 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14